პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 56 (13177) | სამშაბათი, 9 მარტი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

1965 21 მარტი

### არჩევნების აღსანიშნავად

## შრომითს ვახტზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ პირველი კვარტალის დავალება ვადამდე, არჩევნების დღისათვის შეასრულოს. ტრაქტორმშენებლებმა 108,4 პროცენტით გაანაღდეს განვლილი ორი თვის დავალება და 33 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

კომუნისტური შრომის საწარმოს — თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა საერთო პროდუქციის წარმოების ორი თვის დავალება ვადაზე ადრე შეასრულა და გეგმის გადამეტებით 18.600 მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

არჩევნების დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაწინაურდა მოსაპირკეთებელი ფილების საამქროს კოლექტივი (უფროსი კ. ტოგონიძე), რომელმაც ორი თვის გეგმა 101,2 პროცენტით გაანაღდა.

# ახლოვდება არჩევნები!

დარჩა მხოლოდ თორმეტი დღე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე. 21 მარტს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მივლენ საარჩევნო უბნებში, რომ მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა — ერთსულოვნად მისცენ ხმა ხალხის რჩეულებს.

დღითიდღე ძლიერდება არჩევნებისათვის მზადება, და აი უკვე დადგა ამ კამპანიის ახალი, გადამწყვეტი ეტაპი. ამ დღეებში დამთავრდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია. მაღალი პოლიტიკური აქტივობისა და ერთსულოვნების ვითარებაში ჩაიარა წინასაარჩევნო კრებებმა. ხალხმა გადაწყვიტა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოებში გაგზავნოს თავისი საუკეთესო წარმომადგენლები—მუშები და კოლმეურნეები, მოსამსახურეები, მეცნიერები, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ისინი, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ამრავლებენ წარმატებებს ჩვენი შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე.

რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში დასახელებულია და რეგისტრირებულია 47.471 დეპუტატობის კანდიდატი—2.457-ით მეტი, ვიდრე წინა არჩევნებში. მათ შორის არიან თბილისის ელმავალსაშენებლო ქარხნის ზეინკლები გენადი გაგნიძე და ედუარდ დავითიანი, ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლის პედაგოგი ლიანა კოსტავა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ არჩვენიშვილი, კვაისის მადნის მოწინავე მბურღავი მიხეილ ზასეევი, ქობულეთის რაიონის ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობის მეჩაიე ფატი ბერიძე, ახმეტის რაიონის ქისტაურის კოლმეურნეობის ცნობილი მეაბრეშუმე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ოსანა აივაზაშვილი და სხვა მრავალი.

ახლა ყველგან—ქალაქად და სოფლად—ჩაღდება დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაცია. საარჩევნო კამპანიის ამ ახალ, საპასუხისმგებლო ეტაპზე კი კიდევ უფრო დიდი ამოცანები ეკისრებათ პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი ხომ უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან თვითეულ საარჩევნო უბანში, თვითეულ აგიტპუნქტში საქმის მდგომარეობისათვის?!

პარტიული ორგანიზაციები ამჟამად დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციას რომ აჩაღებენ, მოწოდებულნი არიან ფართოდ გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის მშრომელთა კრებები, ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, კედლის გაზეთები, კინოფილმები და სხვ. არჩევნებისათვის მზადებაში არაფერი არ არის წვრილმანი. საჭიროა გონივრულად გამოვიყენოთ წინა წლების მდიდარი გამოცდილება, ავამოქმედოთ იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარი არსენალი.

მრავალი ფაქტი თბილისში, სოხუმში, მახარაძეში, ზუგდიდში, ქობულეთში, თელავში, ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში იმას მოწმობს, რომ პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო აქტიურად აბამენ არჩევნებისათვის მზადებაში თავიანთ საუკეთესო ძალებს, მთელ აქტივს და სერიოზულ წარმატებებსაც აღწევენ. პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საარჩევნო კამპანიის დასაწყისშივე მთავარი ყურადღება დაუთმეს იმას, რომ თვითეული ლექცია თუ მოხსენება, ინდივიდუალური საგიტაციო საუბარი თუ სხვადასხვა მასობრივი ღონისძიება საინტერესო და მიზანსწრაფული გახადათ, მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლებისაკენ წარმართათ.

სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ცენტრებს აგიტპუნქტები წარმოადგენენ. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მიაღწიონ იმას, რომ თვითეულ აგიტპუნქტში მუშაობა, როგორც იტყვიან, „დუღდეს“. სამწუხაროდ, ზოგან კვლავ ვხვდებით გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის შეუწყნარებელ ფაქტებს.

ქ. ქუთაისში გუმათჰესის დასახლების ტერიტორიაზე მდებარე აგიტპუნქტში იმის გამო, რომ აგიტპუნქტის გამგე ავად იყო, მთელი თვის მანძილზე არავითარი ღონისძიება არ განხორციელებულა, აქ აგიტატორთა მორიგეობაც კი არ იყო დაწესებული. ყოველივე ეს „მხედველობიდან გამორჩა“ გუმათჰესის კასკადის პარტიულ ორგანიზაციას.

არც წყალტუბოს რაიონის სოფელ ჯორმონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიურო და მისი მდივანი ჯ. კოხრეიძე წუხან იმაზე, რომ აგიტპუნქტი (გამგე ვ. ჭირაქაძე) ვერ გადააქციეს ამომრჩეველთა ნამდვილად საყვარელ ადგილად. გარდა იმისა, რომ აგიტპუნქტი უგემოვნოდ, ცუდად არის გაფორმებული, შემოწმების დღისათვის გამოფენილი არ იყო საარჩევნო ლიტერატურა, არ მორიგეობდნენ აგიტატორები, გამოშვებული არ იყო კედლის გაზეთის არც ერთი ნომერი.

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე ტყვარჩელში, ახალციხისა და სხვა რაიონებში.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია დაკმაყოფილდა დამატებითი აგიტპუნქტების შექმნით, აგიტატორთა გამოყოფით და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის მთელი პასუხისმგებლობაც ამით მოიცილა თავიდან. მართალია, არჩევნებისათვის მზადების საკითხი თითქმის ყველა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ კრებაზე განიხილა და ღონისძიებებიც დასახა, მაგრამ ზოგან ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლი არ დაუწესებიათ, პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების წევრები ყოველდღიურად არ იჩენენ ინტერესს თვითეული საარჩევნო უბნის, აგიტპუნქტის, აგიტატორის მუშაობისადმი.

მსგავსი ფაქტები დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს! ახლა მთელი ძალით ჩაღდება აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ. ეს კი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. საჭიროა სააგიტაციო მუშაობის სფერომ მოიცვას ყველა ამომრჩეველი. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ახალგაზრდა ამომრჩევლებს, იმათ, რომლებიც წელს პირველად მონაწილეობენ არჩევნებში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის სანიმუშოდ მომზადება, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარება უმნიშვნელოვანესი საერთო-სახალხო ამოცანაა. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები რაც უფრო წარმატებით გაართმევენ თავს ამ ამოცანის შესრულებას, მით უფრო განმტკიცებენ თავიანთ კავშირს მასებთან. ეს კი მთელი ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უპირველესი პირობაა.

# საზეიმო კრებები

## მოსკოვში

გაზაფხულის დადგომასთან ერთად ჩვენს პლანეტაზე 55-ჯერ აღინიშნება ღირსშესანიშნავი თარიღი — ქალთა საერთაშორისო დღე. მთელი საბჭოთა ხალხის ამ სასიხარულო დღესასწაულის აღსანიშნავად სსრ კავშირის დიდ თეატრში 8 მარტს გაიმართა მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება.

გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. თ. დემენტიევამ.

სიტყვები წარმოთქვეს კალინინის სახელობის ფაბრიკის სართავი საამქროს ოსტატმა სოციალისტური შრომის გმირმა ს. ა. კოტოვამ, მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზარია კომუნიზმის“ მწველავმა ვ. მ. შუევამ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ვ. ვ. გოროდილოვამ, პოეტმა ქალმა ე. ვ. დრუნინამ, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტმა ალა ივანოვამ. მათ ილაპარაკეს უფართოეს პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ქალებს აქვთ ნიჭისა და ტალანტის ყოველმხრივ განვითარებისათვის, ხალისიანი შრომისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ. ორატორებმა გულითადი მადლობა უძღვნეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საბჭოთა მშრომელებზე მუდმივი ზრუნვისათვის.

საზეიმო კრების მონაწილეებს მიესალმნენ ნორჩი ლენინელები — მოსკოველი პიონერები.

შეკრებილებმა დიდი აღმაფრენით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საქდესი).

## თბილისში

8 მარტს თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალაქ თბილისის ქალთა აქტივის კრება, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები გ. ა. გეგეშიძე, ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ი. ფერუიძე, შ. ა. დოლიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. სალუქვაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი თ. რ. აბაშიძე, რესპუბლიკის წარჩინებული ქალები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჟვანიამ.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლ. აბაშიძემ, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატმა პ. ტენიშევამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა მ. კუნჭულიამ, პოეტმა ქ. კალაძემ და თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. კილასონიამ. კრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ პიონერები.

დასასრულ ნაჩვენები იყო კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „დედა“. (საქდესი).

— მოდის ცვლა! — სწორედ ეს მომენტი გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“.

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# გავაუმჯობესოთ ლითონის ჯართის დამზადება და გადამუშავება

შავი და ფერადი ლითონების ჯართი და ნარჩენი ძვირფასი ნედლეულია მრეწველობისათვის. ამ ნედლეულის რაციონალურად გამოყენებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ლითონის ჯართის დამზადებისა და გადამუშავების მდგომარეობა რესპუბლიკაში და მისი რესურსების შემდგომი გადიდების ღონისძიებანი, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შემდეგი ხუთწლედისათვის დასახული ფოლადის, თუჯისა და ფოლადის სხმულის, აგრეთვე ფერადი ლითონების წარმოების ზრდის გეგმის შესასრულებლად მეტად საჭიროა, რომ შეუფერხებლად მარაგდებოდეს მეტალურგიული, მანქანათსაშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობა ლითონის მაღალხარისხოვანი კაზმით. ამას უზრუნველყოფთ თუ მკვეთრად გავაუმჯობესებთ ლითონის ჯართის შეგროვებასა და გადამუშავებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

გასულ წელს შავი და ფერადი ლითონების ჯართის დამზადების, გადამუშავებისა და მიწოდების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მაგრამ რესპუბლიკაში ლითონის ჯართის შეგროვების, შენახვის, დამზადებისა და გადამუშავების ორგანიზაციის საქმეში არსებითი ნაკლოვანებანია. მთელმა რიგმა უწყებებმა და საწარმოებმა — სამთამადნო მრეწველობის, ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტებმა და საქართველოს საკონსერვო ტრესტმა, თბილისის ლითონის კონსტრუქციათა ქარხანამ, ბათუმის მექანიკურმა ქარხანამ, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანამ“. ენგურის ქაღალდის კომბინატმა, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა — ვერ შეასრულეს შავი ლითონების ჯართის ჩაბარების წლიური გეგმა, ხოლო ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, „მიკროძრავამ“, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ და სხვებმა — ფერადი ლითონების ჯართის ჩაბარების გეგმა.

რესპუბლიკის ბევრ საწარმოში ჯართის მეურნეობა არადამაკმაყოფილებელია. მთელ რიგ საწარმოებში და მშენებლობებზე, ტრანსპორტის ორგანიზაციებში დიდხანს არის ჩაწოლილი უვარგისი ან მორალურად მოძველებული მანქანები, ჩარხები, სამშენებლო მექანიზმები, ორთქლმავლები, ლითონის კონსტრუქციები და სხვ. მაგრამ საწარმოთა, უწყებათა და სამინისტროთა ხელმძღვანელები დროზე არ ახორციელებენ ღონისძიებებს მათ ჩამოსაწერად და სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად.

დღემდე არ არის გაზიდული დანიშნულებისამებრ ჯართად ჩამოწერილი დიდძალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს აკუმულატორის ტყვიის ჯართის შეგროვება და ჩაბარება „საქსოფლტექნიკის“ ორგანიზაციებში. ცუდად აგროვებენ და მეორეული ლითონების დამზადებისა და გადამუშავების სამმართველოს აბარებენ კაბელის ნაკეთობათა ჯართს თბილისის საქალაქო აღმასკომისა და „საქმთავარენერგოს“ ორგანიზაციები. საკმაოდ არ იმუშავებენ წიდის ნაყარს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და ფოლადთუჯსასხმელო ქარხანაში.

შავი ლითონების ჯართის გადამუშავების ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებანია ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. სრულად არ იყენებენ ქვედით თუჯის წარმოებისათვის ვარგის ქრომმცირე ფოლადების ნატეხ ნარჩენებს, რომლებიც აქ მნიშვნელოვანი რაოდენობით იქმნება, ნაცვლად იმისა, რომ ადგილზევე გამოიყენოს თუჯის ბურბუშელა, საწარმო საბრძმედე ნედლეულად აწვდის მას რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დღემდე არ გადაუწყვეტია საკითხი იმის შესახებ, რომ მიწის ნაკვეთი გამოჰყოს გარდაბნის რაიონში მეორეული ლითონების დამზადებისა და გადამუშავების სამმართველოს ურნალის საამქროს მშენებლობისათვის.

საკმაოდ არ მუშაობენ ჯართის წარმოქმნის რესურსების შესწავლისა და განსაზღვრის საკითხებზე საავტომობილო ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ და სხვა უწყებები. საგეგმო ორგანოებსა და მეორეული ლითონების დამზადებისა და გადამუშავების სამმართველოს ისინი არ უდგენენ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შავი და ფერადი ლითონების ჯართის წარმოქმნის ბალანსებსა და გაანგარიშებებს.

თვითონ მეორადი ლითონების დამზადებისა და გადამუშავების სამმართველო ჯეროვან კონტროლს არ უწევს საწარმოებში ლითონის ჯართის შეგროვების, შენახვის, გადამუშავების, ხარჯვისა და ჩაბარების დადგენილ წესს, შესუსტდა მუშაობა დამატებითი რესურსების გამოსავლენებლად და წარმოებაში ჩასაბმელად, ნაკლებ ყურადღებას უთმობს მომხმარებელი ქარხნებისათვის მიწოდებული ჯართის ხარისხსა და ასორტიმენტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ცალკეული სამმართველოების, სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები ჯეროვნად ვერ აფასებენ, თუ რა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს შავი და ფერადი ლითონების ჯართის მრეწველობაში გამოყენებას. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ შავი და ფერადი ლითონების ჯართის და ნარჩენების დამზადების საკითხებს, სუსტად რაზმავენ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას ამ საქმისათვის, რომ ყოველდღიურად შეუწყონ ხელი ჯართის მოგროვებას, შენახვას და მეტალურგიული მრეწველობისათვის მიწოდებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ლითონის ჯართის შეგროვების, გადამუშავებისა და გამოყენების საკითხები პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სახელმწიფო ამოცანაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ყველა საქვეუწყებო საწარმომ უთუოდ შეასრულოს ჯართის ჩაბარების 1965 წლის დავალებანი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს დაევალა ყოველდღიური კონტროლი გაუწიოს, თუ როგორ სრულდება სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილება ლითონის ჯართის დამზადებისა და გადამუშავების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოვალეა ორ თვეში ჩააბაროს მეორადი ლითონების დამზადებისა და გადამუშავების სამმართველოს ჯართად ჩამოწერილი მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაევალა პირველ რიგში უზრუნველყოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ავტოტრანსპორტით მეორადი ლითონების დამზადებისა და გადამუშავების სამმართველოს ბაზებში ჯართის გადასატანად. „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურ გაერთიანებას დაევალა საჭირო დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ლითონის ჯართის დამზადების საქმეში.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ სისტემატურად გააშუქონ პრესაში, რადიო და სატელევიზიო გადაცემებში ლითონის ჯართის შეგროვების, გადამუშავებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების საკითხები, განუმარტონ მოსახლეობას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯართის გამოყენებას თუჯისა და ფოლადის გამოდნობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განსაკუთრებით აღნიშნა რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ნაყოფიერი მუშაობა საყოფაცხოვრებო და უპატრონო ლითონის ჯართის შეგროვებაში და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაავალა გააძლიეროს ხელმძღვანელობა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიერ შავი და ფერადი ლითონების ჯართის შეგროვების საქმისადმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა აქტიური მუშაობა გააჩაღონ იმისათვის, რომ მშრომელთა კოლექტივები და მთელი საზოგადოებრიობა ჩააბან მეტი ჯართის შეგროვებისათვის ბრძოლაში, სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ლითონის ჯართის დამატებითი რესურსების გამოძებნისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

# მუდამ პარტიასთან ერთად

### დარბაზობა კრემლში

8 მარტს კრემლში რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობამ დარბაზობა მოაწყო რუსეთის ფედერაციის მწერალთა II ყრილობის დამთავრების გამო. ყრილობის დელეგატებთან ერთად კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში შეიკრიბნენ ხელოვნების ოსტატები, კულტურის მუშაკები, საზოგადო მოღვაწეები.

მწერლებს ესტუმრნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ი. მიკოიანი, მ. ა. სუსლოვი, ლ. თ. ილიჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრები ნ. გ. ეგორიჩევი, ვ. ა. კარლოვი და მ. ა. იასნოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი.

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ლ. ს. სობოლევმა გამარჯვება უსურვა კომუნისტურ პარტიას, რუსეთის მწერალთა ურყევ კავშირს პარტიასთან და ხალხთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. პ. კირილენკო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დავალებით მხურვალედ მიესალმა და მიულოცა რუსული ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენლებსა და მოძმე რესპუბლიკების წარმოგზავნილებს რუსეთის ფედერაციის მწერალთა მეორე ყრილობის მუშაობის წარმატებით დამთავრება.

რუსეთის მწერალთა, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის მოღვაწეთა ყველაზე დიდი რაზმის ყრილობა, თქვა ა. პ. კირილენკომ, დიდ მოვლენად გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ა. პ. კირილენკომ აღნიშნა, რომ ყრილობამ ჩაიარა საქმიან ვითარებაში, მაღალ იდეურ-შემოქმედებით დონეზე. ყრილობამ ცხადყო მწერალთა გაზრდილი აქტივობა და პოლიტიკური სიმწიფე, საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის დიდი პატრიოტიზმი, მისი მონოლითური შეკავშირება საბჭოთა ხალხთან, კომუნისტთა პარტიასთან.

ყველა თავის საქმეში ჩვენი პარტია ეყრდნობა ინტელიგენციის შემოქმედებით ძალებს, იგი დიდად აფასებს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მოღვაწეთა, გონებრივი შრომის მუშაკთა ყველა რაზმის შრომას. საბჭოთა ინტელიგენცია პარტიას სრული ნდობით უპასუხებს და მისი ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში.

პარტია ყოველთვის მოუწოდებდა და მოუწოდებს მწერლებს, ხელოვნების ყველა მოღვაწეს შეაკავშირონ ძალები პრინციპულ ლენინურ იდეურ პოზიციებზე. მხარს უჭერს რა ნოვატორულ ძიებას მხატვრული შემოქმედების დარგში, პარტია კვლავაც იზრუნებს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეური სიწმინდისათვის, პარტიულობისა და ხალხურობისათვის.

განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები ისახება საბჭოთა ლიტერატურის წინაშე იმასთან დაკავშირებით, რომ ახლოვდება დიდი თარიღები ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

თქვენს წინაშე დასახულია მშვენიერი მიზანი — შექმნათ კაცობრიობის ყველაზე ნათელი ოცნების განხორციელებისათვის — კომუნიზმისათვის საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის მართალი, მღელვარე მხატვრული მატიანე.

ა. პ. კირილენკომ დიდი წარმატებანი უსურვა მწერლებს შემოქმედებითს მუშაობაში და ადღეგრძელა დიდი საბჭოთა ხალხი, სახელოვანი საბჭოთა ინტელიგენცია, მწერლები, სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომელიც მტკიცედ მიუძღვის ჩვენს ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

მწერლებმა ს. ვ. მიხალკოვმა, ა. პ. კეშოკოვმა, ს. ა. ვასილიევმა, ლ. კ. ტატიანიჩევამ და სხვებმა თავიანთ მოკლე გამოსვლებში აღნიშნეს, რომ მთელ თავიანთ შემოქმედებითს ძალღონეს მოახმარენ კომუნიზმის საქმეს, ლენინური იდეების გამარჯვებას.

დარბაზობამ გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

# მთელი ძალები, მთელი შთაგონება — ხალხს

### რუსეთის მწერალთა მეორე ყრილობა დამთავრდა

რუსეთის უსაზღვრო სივრცეებიდან, მისი დაშორებული მხარეებიდან შეიკრიბნენ მოსკოვში ლიტერატორები თავიანთ მეორე ყრილობაზე. ხუთ დღეს გულდასმით მსჯელობდნენ ისინი პრობლემებზე, რომლებიც დასახულია რუსეთის ხალხთა ლიტერატურის წინაშე, იმაზე, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება მხატვრული სიტყვის ოსტატს ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე, ისტორიის წინაშე. როგორ უნდა გააშუქონ უკეთ საბჭოთა ადამიანების საქმენი და ფიქრები, ხელი შეუწყონ მათი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას — ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მსჯელობდა ყრილობაზე გამოსული ყველა ორატორი.

იდეურობისა და ლიტერატურული ოსტატობის ამაღლება, ნათქვამია დადგენილებაში, რომელიც ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო, აძლიერებს ჩვენი ლიტერატურის აღმზრდელობით როლსა და მხატვრულ შემოქმედებას, მაღალი კომუნისტური იდეალების მქადაგებლად, მსოფლიოს სოციალისტური გარდაქმნის მძლავრ იარაღად აქცევს მას. ჩვენი ნაწარმოებნი, რა ჟანრითაც უნდა იქმნებოდნენ ისინი, უწინარეს ყოვლისა უნდა გვიჩვენებდნენ მშრომელი ადამიანის სულიერ სილამაზეს, გმირობის სიდიადეს, უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, ურყევ რწმენას კომუნიზმის გამარჯვებისადმი.

საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნებს, პიესებსა და სცენარებს კომუნისტური პარტიის შთამაგონებელი საქმეების, საბჭოთა ხალხის გმირობის შესახებ.

დადგენილება იწონებს რუსეთის მწერალთა კავშირის ორგანიზაციულ-შემოქმედებითს საქმიანობას. მწერალთა კავშირის ახალ გამგეობასა და ყველა მის ორგანიზაციას ეძლევა რჩევა კიდევ უფრო აქტიურად განავითარონ მწერლის შემოქმედებითი კავშირურთიერთობა როგორც რუსეთის ფედერაციის ფარგლებში, ისე სსრ კავშირის ხალხთა ყველა მოძმე ლიტერატურასთან.

ყრილობის საბოლოო სხდომაზე გამოქვეყნდა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მწერალთა მეოთხე ყრილობის დელეგატების არჩევნების შედეგები. გამგეობაში არჩეულია 144 კაცი, ყრილობის დელეგატებად — 262 კაცი.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ყრილობის მონაწილეებმა წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. „მოვახსენებთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ნათქვამია წერილში, რომ ჩვენთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა შევქმნათ ნაწარმოებნი, რომლებიც სიხარულს მოუტანენ მკითხველს ღრმა შთანაფიქრით და მკაფიო მხატვრული ფორმით, სულიერად გაამდიდრებენ მას, დაეხმარებიან იცხოვროს და იშრომოს დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ და სასახელოდ, დიადი ლენინური იდეების სულისკვეთებით აღზარდოს საბჭოთა ადამიანების ახალი თაობანი“.

• • •

დღეს გაიმართა რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის ახლად არჩეული გამგეობის პირველი საორგანიზაციო სხდომა. გამგეობის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს ლ. ს. სობოლევი. სამდივნოში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: მ. ალექსეევი (მოსკოვი), ფ. ტაურინი (ირკუტსკი), ვ. პანკოვი (მოსკოვი), ა. კეშოკოვი (ყაბარდო-მალყარეთის ასსრ), ს. ხაკიმოვი (თათრეთის ასსრ), ა. ალგა (ჩუვაშეთის ასსრ), მ. კარიმი (ბაშკირეთის ასსრ), ს. მიხალკოვი (მოსკოვი), მ. დუდინი (ლენინგრადი), გ. მარკოვი (მოსკოვი), დ. გრანინი (ლენინგრადი), ვ. ზაკრუტკინი (დონის როსტოვი), ნ. რილენკოვი (სმოლენსკი), ს. სარტაკოვი (მოსკოვი), ლ. ტატიანიჩევა (ჩელიაბინსკი), ა. ბარტო (მოსკოვი), ვ. ფედოროვი (მოსკოვი). მდივნად საორგანიზაციო საკითხებში არჩეულია ვ. შიშოვი.

1965 წლის 7 მარტი. (საქდესი).

# საქდესის ცნობა

1965 წლის 7 მარტს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-59-ის“ მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საქდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

— თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის საწყისი პერიოდი 89,7 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 339 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 209 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 65 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე არის:

— რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,996 მეგაჰერცი სიხშირით;

— რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის;

— რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

# გვიშტიბელი კომუნისტების მაგალითი

**პარტიული ცხოვრება**

### საგაზაფხულო სამუშაოების ავანგარდში

გორმალალას მთებზე თოვლს ლილო-ჭრილო შეპარა, აქ, ბარში, გუბისწყლისა და ოლოს ნაპირებზე კი გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა, მიწამ გული გადაიხსნა, მხვნელ-მთესველებს ეპატიჟება.

გაზაფხულზე ფიქრით ცხოვრობენ და შრომობენ ახლა წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტები.

საფიქრებელი და საზრუნავი კი ცოტა როდი აქვთ: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და თესლის მომზადება, მინდვრებსა და პლანტაციებში სასუქების გატანა, საგაზაფხულო ხვნა, ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრება...

თუ პირველ რიგში პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა არა, სხვამ ვინ უნდა გადაჭრას წარმოების ეს სადღეისო, გადაუდებელი ამოცანები?

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია კარგად ითვალისწინებს, რომ ყველა საქმის წარმატებას წყვეტენ კადრები, თუ კი სწორად შევარჩიეთ, გავანაწილეთ და აღვზარდეთ ისინი. ამიტომ პარტბიურომ (მდივანი ა. მანაგაძე) კოლმეურნეობის გამგეობასთან (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჩაჩიძე) ერთად წარმოების გადამწყვეტ უბნებზე გაგზავნა ყველაზე გამოცდილი, უნარიანი ადამიანები.

ახლა აქ 81 კომუნისტიდან 66 უშუალოდ მინდვრებსა და პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში მუშაობს. მათგან 14 მექანიზატორია. ბრიგადებსა და ფერმებს ძირითადად კომუნისტები უძღვებიან. წარმოების ყველა გადამწყვეტ უბანზე შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს ცხრა პარტიული ჯგუფი.

და ყველგან კომუნისტები შრომისმოყვარეობის, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის მაგალითებს იძლევიან, ნათლად ჩანს მათი ავანგარდული როლი, მაღალნაყოფიერი შრომის შესანიშნავი შედეგები. მაგალითად, კომუნისტმა რ. გელენიძემ შარშან მოსავლელად მიჩენილ 1,5 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 33 ცენტნერის ნაცვლად 55 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო. წელს საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი მოსავლის მიღებისათვის იბრძვის. მ. კომეთიანმა ჰექტარზე 22-ის ნაცვლად 46 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ე. კომეთიანმა კი ორი ჰექტარი ყანა დაამუშავა და ამ ფართობზე 39-ის ნაცვლად 67,3 ცენტნერი მარცვალი მიიღო.

ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ა. ჩიხლაძე უძღვება, 75 ტონის მაგიერ 85 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მიჩენილი ნაკვეთებიდან ტონობით ზეგეგმითი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს კომუნისტმა მეჩაიეებმა ბაბილინა თვალოძემ და გალინა ფუტკარაძემ.

კომუნისტების წვლილი, პირადი მაგალითის ძალაა ჩაქსოვილი იმაში, რომ კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება და 401 ტონა „მწვანე ოქრო“ დაამზადა, ხოლო სიმინდის მოსავლიანობა წინა წელთან შედარებით ზუსტად ორჯერ გაიდიდა.

ასე იყო შარშან. მაგრამ აქაურ კომუნისტებს, ყველა კოლმეურნეს გადაწყვეტილი აქვს წელს სიმინდისა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კიდევ უფრო უხვი მოსავალი მიიღონ, წინა პლანზე წასწიონ საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

ახლად არჩეულმა პარტბიურომ ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში განიხილა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საკითხი. მერე ამავე საკითხზე და პარტიულ კრებაზეც გამართა სჯა-ბაასი. დეკემბერში კი გამოზამთრების მიმდინარეობაზე იმსჯელეს.

ახლა, როცა სამეურნეო წლის ორ თვეზე მეტი გავიდა, შეიძლება ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ პრაქტიკული მუშაობის პირველ შედეგებზე.

ფერმებში ახლა გეგმით გათვალისწინებული 760 სულის ნაცვლად ჰყავთ 799 სული მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის 192 ძროხა. მიღებული ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია და, საერთოდ, ღლეზე პირუტყვის სიკვდილიანობის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. აქ, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იანვარში 20 ცენტნერით, ხოლო თებერვალში — 30 ცენტნერით მეტი რძე აწარმოეს.

პარტბიურო, კომუნისტები ზემოდან მითითებებს როდი დაელოდნენ იმისათვის, რომ თავის დროზე თანმიმდევრულად განეხილათ ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების საკითხები. ჯერ იყო და ნოემბერში პლანტაციების მოხვნისა და გადაბარვის მიმდინარეობაზე იმსჯელეს, მერე დეკემბერში — სასუქების შეტანაზე, ხოლო თებერვალში — ჩაის ბუჩქების გასხვლაზე.

კომუნისტები, უპარტიო კოლმეურნეები, როგორც თავიანთი არტელის ბატონ-პატრონები, გულდაგულ გამოვიდნენ ამ პარტიულ კრებებზე, სადაც შეაფასეს არსებული ნაკლოვანებები. პირუთვნელად გააკრიტიკეს კომუნისტი ბრიგადირები გ. აფხაძე და ბ. ჩიხლაძე იმის გამო, რომ ისინი უხარისხოდ ამუშავებდნენ პლანტაციებს. ისიც ითქვა, რომ კომუნისტ გ. დვალიშვილს მისთვის მიჩენილ ნაკვეთში არაფერი არ ჰქონდა გაკეთებული. სასუქების შეტანის წესების დარღვევებზეც ილაპარაკეს, აღნიშნეს, რომ ამ სამუშაოების შესრულებისას ზუსტად არ ხელმძღვანელობდნენ კარტოგრამებით.

საქმის არსებითად, პრინციპულად განხილვას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას სასურველი შედეგები მოჰყვა. კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაამთავრა 280 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოხვნა და გადაბარვა, ნიადაგში შეიტანა ფოსფოროვანი სასუქები. აქვე დროულად მოამზადეს ჩაის გასხვლისათვის „ტ-16“ მარკის ოთხივე ტრაქტორი და 15 თებერვლიდან ბუჩქების გასხვლა-გაფორმებაც დაიწყეს.

აქაც კომუნისტები პირველობენ. მექანიზატორები რ. უღენტი და ს. შენგირაძე ნორმით გათვალისწინებული ორი ჰექტარის ნაცვლად ცვლაში ოთხნახევარ ჰექტარ პლანტაციას სხლავენ.

ამ გაზაფხულზე გვიშტიბელებმა 560 ჰექტარი სიმინდი უნდა დათესონ. მათი პირობაა საშუალოდ ჰექტარზე სულ მცირე 25 ცენტნერი მარცვალი მიიღონ, ხოლო გათვალისწინებული 400 ტონის ნაცვლად 450 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფონ.

პარტიულ ორგანიზაციაში გაზაფხულისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მზადყოფნის საკითხზე მსჯელობისას გამოირკვა, რომ „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორი საბურავებს საჭიროებდა, საკმაო რაოდენობით არ ჰქონდათ სახნისები, ფარცხები, ალდათ სიმინდის სათესი მანქანა, გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სახელოსნოში ჰპირდებოდა ერთი „დტ-54“ და ორი „ტ-16“ მარკის ტრაქტორის რემონტი.

მიღებული ღონისძიებებით მალე ყველა ხარვეზი გამოსწორდა. ახლა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სავსებით გამზადებულია სხვადასხვა მარკის 17 ტრაქტორი, რომელთაგან სამი ადგილზე, კოლმეურნეობის სარემონტო-ტექნიკურ სახელოსნოში შეაკეთეს, დამატებით შეიძინეს „დტ-75“ მარკის ახალი ტრაქტორი, სიმინდის სათესი მანქანა, საკმაოზე მეტი მოიმარაგეს ფარცხები, სახნისები.

კოლმეურნეობის გამგეობამ გაითვალისწინა კომუნისტი მექანიზატორის გ. ჩიხლაძის საქმიანი წინადადება და ტრაქტორების ორ ცვლად მუშაობის უზრუნველსაყოფად დამატებით შეიძინა 100 ცალი სპეციალური ნათურა, რეზინის შლანგები.

პარტიული ორგანიზაცია, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ადრეული საგაზაფხულო ხვნის, თესლის მომზადების, მინდვრად სასუქების ვატანის საკითხებს. თუმცა გვიშტიბის მიწები მძიმეა და მალე არ შრება, კომუნისტმა მექანიზატორმა შ. შენგირაძემ, გ. ჩიხლაძემ, ჯ. ბენიძემ, გ. ბზიკაძემ უკვე ორას ჰექტარზე მეტი მოხნეს.

კოლმეურნეობამ გათვალისწინებული 202 ცენტნერის ნაცვლად 350 ცენტნერი სიმინდის თესლი მოიმარაგა, ახვე საკმაოზე მეტი აქვს სოიის თესლიც. სათესლე მასალა ორჯერ ლაბორატორიულად შეამოწმეს და კონდიციამდე აიყვანეს, ახლა აქ თესლს აკალიბრებენ, მინდვრად გააქვთ ორგანული სასუქი.

ინჟინერ-მექანიზატორმა, კომუნისტმა გ. ჩიხლაძემ გამოიანგარიშა, რომ ერთ ცვლად მუშაობის პირობებში, სახნავად ვარგისმა ყველა ტრაქტორმა შეუფერხებლადაც რომ იმუშაოს, ხვნაზე სულ მცირე 37 დღე იქნება საჭირო. უამინდობის შემთხვევაში ეს ვადა კიდევ უფრო გადაიწევს.

საგაზაფხულო ხვნა შემჭიდროებულ ვადებში რომ მოეწყოს, კომუნისტმა მექანიზატორებმა შ. შენგირაძემ, შ. ტუსკაძემ და ჯ. ბენიძემ, რომლებიც შარშან ტრაქტორებს ორ ცვლად ამუშავებდნენ, თანამოსაქმეებს მოუწოდეს იმუშაონ ორ ცვლად. ამ წამოწყებას უკვე დაუჭირეს მხარი უპარტიო მექანიზატორებმა ალ. ჯურხაძემ, ბ. შენგირაძემ, ო. ბერიშვილმა, გ. გელენიძემ, ნ. ქაშიბაძემ.

კოლმეურნეობის სარემონტო სახელოსნოს მექანიკოსმა კომუნისტმა ნ. ჯურხაძემ გადაწყვიტა ვიდრე მას ტრაქტორები „მიაკითხავდნენ“, თავისი სახელოსნო ყუთით თვითონ ეწვიოს მათ მინდვრად, გაიგოს ტრაქტორის „ტკივილები“, იქვე დაუსვას „დიაგნოზი“ და ადგილზე უმკურნალოს. ახლა კეთილი საქმის მოთავე ამას პრაქტიკულად აკეთებს, და აბა ტრაქტორისტებს მადლობის მეტი რა ეთქმით.

წელს კოლმეურნეობაში 8 ცალი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ იმუშავებს. კომუნისტი მექანიზატორები, რომლებსაც მანქანით ჩაის კრეფის დიდი გამოცდილება აქვთ, ხალისით ასწავლიან თანამოსაქმეებს წითელი ხომალდების მართვასა და გამოყენებას.

გვიშტიბელ კომუნისტებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მიმდინარე წლის უხვი მოსავლის ბედი სწორედ ახლა, გაზაფხულზე წყდება. ამიტომაც ასე უნარიანად, მტკიცედ უდგანან სათავეში სოფლის მშრომელთა აქტივობას საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## პარტიულ ორგანიზაციებში

### პროპაგანდისტის დღე

ამას წინათ საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში შეიკრიბნენ პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის პროპაგანდისტები, თეორიული სემინარის ხელმძღვანელები და კონსულტანტები. ჩატარდა პროპაგანდისტის დღე, რომელიც აქ ტრადიციად იქცა.

მოხსენებები — „1964-1965 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები და მეორე ნახევრის ამოცანები“, „სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში“ და „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში“ — წაიკითხეს პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ პ. მაღრაძემ, იდეოლოგიური განყოფილების ინსტრუქტორმა რ. [illegible] საშუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან [illegible] საფუძვლების შემსწავლელი თეორიული სემინარის ხელმძღვანელმა ა. ჩხიკვაძემ.

პროპაგანდისტებმა ბ. ღონღაძემ, შ. ამაშუკელმა, ბ. ტორაძემ, ა. კიკნაძემ, გ. მაჭავარიანმა, ა. მაღრაძემ დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

პ. ნებიერიძე.

### პარტიული სკოლები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ შეიქმნა პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პარტჯგუფორგანიზატორების ერთწლიანი სკოლები. მსმენელები შეისწავლიან პარტიული მშენებლობის ძირითად საკითხებს, ერთმანეთს გაუზიარებენ მუშაობის დადებით გამოცდილებას.

პირველ მეცადინეობაზე წაიკითხეს მოხსენებები თემებზე: „პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომების მომზადება-ჩატარება. პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმა“, „ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციებისა და კედლის გაზეთების ამოცანები“.

### ჟურნალი და მკითხველი

მახარაძე. აქ გამართა ჟურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიე“ მკითხველთა კონფერენცია.

ჟურნალის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მისი რედაქტორი ა. ვიშნიაკოვი. მან ილაპარაკა ჟურნალის მუშაობის მომავალ გეგმებზე, რედაქციისა და მკითხველთა კავშირის განმტკიცებაზე.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ მკითხველები თ. სალუქვაძე, ბ. ქაჯაიძე, ს. ბებურიშვილი, მ. კილაძე და სხვები, რომლებმაც ბევრი სასარგებლო წინადადება წამოაყენეს.

ტ. ჯაფარიძე,
საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პარტიული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი.

## მხატვარი — ქარხანაში

მხატვარი ელისო მაყაშვილი გუშინ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას ესტუმრა. აქ ბევრი წარჩინებული ადამიანი მუშაობს, რომლებმაც თავიანთი შრომითა და გარჯილობით სახელი შემატეს მშობლიურ საწარმოს.

მხატვარმა რამდენიმე ჩანახატი გააკეთა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას შესთავაზა. ჩვენც გადავწყვიტეთ გაზეთის მკითხველებს გავაცნოთ ზოგიერთი მათგანი. აი ისინიც...

ც. აბაშიძე. ნ. რამიშვილი.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

### „რომ ისწავლოს, უნდა ასწავლო“

ამ სათაურით „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 24 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა საკუთარი კორესპონდენტის ამხ. ს. ქოჩლაძის წერილი. მასში ნაჩვენები იყო ყვარლის რაიონის სოფელ საბუის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებები.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. თ. ლაშქარაშვილმა და საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ზ. იოსებაშვილმა ამასთან დაკავშირებით რედაქციას აცნობეს, რომ წერილში აღძრული საკითხები ადგილზე იქნა შესწავლილი და მხილებული ფაქტები დადასტურდა. განათლების სამინისტროს წარმომადგენლისა და ყვარლის რაიონის პასუხისმგებელი მუშაკების მიერ სკოლის მდგომარეობის ერთობლივი შემოწმების შემდეგ საკითხი განხილულ იქნა საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის ბიუროზე.

დასახულია ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მიღებულია აგრეთვე შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებანი.

რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს ამხ. მ. ტატულიშვილს, რომელმაც არ შეისწავლა მის ზონაში შემავალი საბუის საღამოს სკოლის მუშაობა და დროულად არ მიიღო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით;

ცნობების თვითნებურად გაცემისა და მათი შედგენისას სათანადო დამადასტურებელი საბუთების გამოუყენებლობისათვის საბუის ზოგადსაგანმანათლებლო დღის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. დვალს გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით;

სკოლისადმი დაუხმარებლობისა და მისი მუშაობით დაუინტერესებლობის გამო საბუის სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გ. სოხაძეს გამოეცხადა საყვედური, ხოლო სასოფლო საბჭოს მდივანს და პირველადი ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. მ. გუგუტიშვილს მიეთითა;

ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებამ, პარტიის ყვარლის რაიკომის ბიუროს დადგენილების საფუძველზე, საბუის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს ამხ. ა. გოგილაშვილს და მასწავლებელ ზ. ჩიტაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

განათლების სამინისტრო მიმდინარე წლის III კვარტალში საბუის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში დახმარების მიზნით გაგზავნის თავის მუშაკებს.

**რედაქციისაგან:** როგორც სარედაქციო ფოსტიდან ირკვევა, ყვარლის რაიონის სოფელ საბუის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის ცუდი მუშაობის მაგალითი, სამწუხაროდ, ერთეული არ არის. ამხ. ს. ქოჩლაძის წერილის გამო მრავალი გამოხმაურება მოვიდა; მათში მხილებულია მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში არსებული ნაკლოვანებები. წერილი განუხილავს ბევრ საღამოს სკოლას, მის ირგვლივ უმსჯელიათ პედკოლექტივებზე, გამოუმზეურებიათ სწავლა-აღზრდის უკეთ დაყენების შემაფერხებელი მიზეზები.

ავტორები რედაქციას სწერენ, რომ ზოგიერთი საწარმოს, კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ხელს არ უწყობენ ახალგაზრდებს სწავლაში, არ უქმნიან სამისო პირობებს. პედაგოგები გვწერენ, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული გაკვეთილის 45 წუთი ყველაზე რაციონალურად, როგორ უნდა გაიზარდოს მოსწავლეთა აქტივობა გაკვეთილზე, როგორ ამაღლდეს სწავლების დონე.

განათლების სამინისტრომ, სხვა შესაბამისმა ორგანოებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ საღამოს სკოლების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

## ლექტორთა ბრიგადები ამომრჩევლებთან

დილიდან გვიან საღამომდე არ წყდება მუშაობა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან არსებულ სახელმწიფო და სამართლის პროპაგანდის სამეცნიერო მეთოდურ საბჭოში (თავმჯდომარე პროფ. ბ. ფურცვანიძე). ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე არც თუ ისე დიდი დრო დარჩენილი, და ამიტომ ყველა საკითხის დროულად მოგვარებას ცდილობენ.

მეთოდურმა საბჭომ განიხილა რესპუბლიკის რაიონებში ლექციური პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხი და შეიმუშავა ლექციების სანიმუშო თემატიკა. დღეისათვის რესპუბლიკაში უკვე წაკითხულია 500 ლექცია ისეთ თემებზე, როგორიც არის: „სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები“, „სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები“ და სხვ.

შექმნილია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ლექტორიუმი. ყვარელსა და დუშეთში უკვე გაიგზავნა ლექტორთა ბრიგადები პროფ. ბ. ფურცხვანიძის, დოც. ე. ნეიძის, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. პაიჭაძის, პროფ. გ. ერემოვის, დოცენტების ნ. ლომსაძისა და ვ. ფარქოსაძის შემადგენლობით.

მეთოდურმა საბჭომ ლექტორთა დასახმარებლად გამოსცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ზ. კვაჭაძისა და პროფ. გ. ერემოვის ბროშურები „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები კომუნისტური თვითმმართველობის დიდი სკოლაა“ და „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები“.

არჩევნებთან დაკავშირებით მოსკოვიდან მოწვეული იყო ლექტორთა ჯგუფი. 26-27 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში პროფესორებმა ა. დენისოვმა, ა. ტუმანოვმა, ი. კოზლოვმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარემ გ. ანაშკინმა წაიკითხეს ლექციების ციკლი. მოსკოველი ლექტორები ეწვევიან აგრეთვე ბათუმელ, სოხუმელ და მარნეულელ ამომრჩევლებს.

ზ. ჯორჯიაშვილი,
საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ რეფერენტი.

## ტრადიცია გრძელდება

### გორის რაიონის მოწინავე მექანიზატორთა თათბირი

ფანჯრებს იქით პატარა ქალაქი ხმაურობს. დროდადრო ქარი უბერავს და ფანჯრის მინებს სველ თოვლს აყრის. გორის კულტურის სახლში კი სითბოს და ღიმილს დაუსადგურებია. დღეს აქ მოვიდნენ რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, მოწინავე მექანიზატორები. გურამ მაისურაძე ძლივს ასწრებს მათ რეგისტრაციას.

ზოგნი ჯგუფ-ჯგუფად დგანან, საუბრობენ, იცინიან, სხვები ფოიეში დასეირნობენ და ყურადღებით ათვალიერებენ რაიონის მექანიზატორთა პორტრეტებს, რომლებიც წითელ დაფაზეა გამოკრული. არანაკლებ ყურადღებას იქცევს რაიონის წინსვლის დიაგრამები და სხვა თვალსაჩინოებანი. თათბირის მონაწილენი ნელნელა ავსებენ კულტურის სახლის დარბაზს.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. გორის რაიონის მოწინავე მექანიზატორთა თათბირი გახსნილად გამოაცხადეს.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზაციის დონის ამაღლების შემდგომი ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **იაკობ ტოლიაშვილმა**. მან ფართოდ გააშუქა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა მექანიზატორის ფასდაუდებელ შრომაზე, მის მადლიან მარჯვენაზე.

— სოციალისტური სოფლის მეურნეობა, — აღნიშნავს მომხსენებელი, — ყოველწლიურად იღებს ახალი კონსტრუქციის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომელთა ათვისებას მოკლე დროს ანდომებენ ჩვენი ნიჭიერი მექანიზატორები. მათი ვაჟკაცური შრომის შედეგად უნდა ჩაითვალოს, დღეს ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უზარმაზარ ფართობებზე რომ არის გადაჭიმული ნათესები, ხეხილის ბაღები, ვენახები.

უყურებთ ამ მომხიბვლელ პეიზაჟებს და უნებურად ეკითხებით საკუთარ თავს: — ნეტავ რა ძალამ, რა ხელმა დაამუშავა ამდენი მიწები. ეს თქვენ ხართ, ამხანაგო მექანიზატორებო, — ოდნავ ხმას აუწია მომხსენებელმა, — ეს თქვენი მადლიანი მარჯვენის ნამოქმედარია.

მომხსენებელი აგრეთვე შეეხო გასული წლის შედეგებს და მიმდინარე წლის ამოცანებს. მან აღნიშნა, რომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მექანიზაციას როგორც მინდვრებში, ისე ფერმებში. ამას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ, ამასთან უნდა იზრუნონ მექანიზატორთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი კადრების მომზადების, იარაღ-მანქანების მოვლა-პატრონობისა და საცხებ-საწვავი მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

ჩვენი რაიონის მექანიზატორთა თათბირის მონაწილეებმა, — თქვა დასასრულ მომხსენებელმა, — ფართოდ უნდა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება და პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი. ეს ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

მომხსენებლის შემდეგ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან მექანიზატორები. მათ იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი მიმდინარე სამეურნეო წლის მაღალი მაჩვენებლებით დამთავრებისათვის და პირობა დადეს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და ეკონომიურად ხარჯონ საცხებ-საწვავი მასალები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ **ი. ხოხლოვმა**.

მან ილაპარაკა შრომის ნაყოფიერების გადიდების პირობებზე, აგროწესების ზუსტად დაცვაზე, მანქანებისა და მექანიზმების მაქსიმალურად დატვირთვაზე, კომპლექსური მექანიზაციის განვითარებაზე, იარაღ-მანქანების მაღალნაყოფიერ ექსპლოატაციაზე. დიდი ყურადღება დაუთმო მექანიზატორთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური დაინტერესების საკითხს.

შემდეგ დაიწყო მექანიზატორთა დაჯილდოება. ტაშის გრიალში სცენაზე ადიან მოწინავე მექანიზატორები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს გასული წლის სამუშაოები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ისინი ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

მოწინავე მექანიზატორთა თათბირის მსვლელობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. ბზიშვილმა**. მან მექანიზატორებს მიულოცა გასული წლის დავალების პირნათლად შესრულება და უსურვა წარმატებანი ახალი სამეურნეო წლის ნაყოფიერად დამთავრებაში.

ამის შემდეგ **გურამ რატიშვილმა** წაიკითხა მიმართვა რაიონის ყველა მექანიზატორისა და სპეციალისტისადმი.

— გორის რაიონის მექანიზატორები, — კითხულობს იგი, — ახალი შრომითი აღმავლობისათვის აღგვაფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებმა. ვდგავართ რა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების შრომითი ვახტზე, ჩვენი ვალია ბეჯითი შრომით, დაუცხრომელი ენერგიით უნარიანად ავამოქმედოთ არსებული რეზერვები, გამოვიყენოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი და სწრაფად წავწიოთ იგი წინ, რათა ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ყველასათვის ნათელია, რომ მანქანები არა მარტო ამსუბუქებენ შრომას, არამედ უფრო მაღალნაყოფიერსაც ხდიან მას. კომპლექსური მექანიზაციისათვის ბრძოლა ნიშნავს ბრძოლას ჩვენი ხალხის უკეთესი მომავლისათვის, სოფლის მეურნეობის უხვი და იაფი პროდუქციის წარმოებისათვის. ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე მექანიზატორთა თათბირის მონაწილენი 1965 წლისათვის ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის, 21 მარტისათვის დავამთავრებთ მზადებას საგაზაფხულო თესვისათვის და ბაღ-ვენახებში ნიადაგის სრულყოფილად დამუშავებას.

სისტემატურად ვიზრუნებთ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისათვის, თვალისჩინივით გავუფრთხილდებით ტექნიკას. უზრუნველვყოფთ იარაღ-მანქანებს შესაფერი ფარდულებითა და სხვა სპეციალური სადგომებით. მთავარ საზრუნავად გვექნება საწვავი მასალების ეკონომიურად ხარჯვა. 15 პროცენტით შევამცირებთ სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებას.

„საქსოფლტექნიკის“ გორის განყოფილება ვალდებულებას კისრულობს 1965 წლის განმავლობაში ტექნიკური მომსახურება გაუწიოს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 400 ტრაქტორსა და 150 ავტომანქანას.

რაიონში სიმინდის მოვლა-მოყვანის კომპლექსურ მექანიზაციას განვახორციელებთ 5.200 ჰექტარზე, შაქრის ჭარხლისას — 80 ჰექტარზე. საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანთ 35 ცენტნერ სიმინდის მარცვლად, 450 ცენტნერ, შაქრის ჭარხალს...

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე რაიონის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

იკისრეს რა ეს ვალდებულებანი, გორის რაიონის მექანიზატორებმა ტრადიციის მიხედვით **სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ გამოიწვიეს თელავის რაიონის მექანიზატორები.**

რ. ბასილაშვილი.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

## მეგობრობა გზად და ხიდად...

**ტრადიციული** მეგობრობა აკავშირებს ორი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინისა და საქართველოს შვილებს, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს. ამას წინათ კომკავშირის კომიტეტმა დონეცკის ოლქის კომკავშირელებისაგან მიიღო წერილი. ისინი იტყობინებიან, რომ „ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის“ წევრები რესპუბლიკური გაზეთის დავალებით საქართველოს შესახებ აგროვებენ მასალებს და ამასთან დაკავშირებით გვთხოვენ გავუგზავნოთ მათ მეტალურგიული წარმოების აღწერილობა და ფოტოსურათები.

აი ჩვენ წინაშეა წერილი ნიკოლაევის ოლქის დაბა ახალი ოდესის მოსწავლეებისა, რომლებიც აწყობენ ქიმიურ კაბინეტებს; პატარები გვთხოვენ გავუგზავნოთ მეტალურგ კომკავშირელებს ჩვენი ნედლეულის ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის ნიმუშები.

„ძალიან გვინდა ბევრი რამ ვიცოდეთ რუსთაველი კომკავშირელების საინტერესო საქმიანობაზე, თქვენს მშობლიურ ქალაქსა და ქარხანაზე, ამიტომ გთხოვთ დაწვრილებით გვაცნობოთ ყველაფერი“, — გვწერენ მორდოვეთის ასსრ ქალაქ სარანსკის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლეები.

საბჭოთა ახალგაზრდების პატრიოტული წერილები უხვად მოგვდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ეს იმით აიხსნება, რომ რუსთაველმა მეტალურგებმა შრომითი საქმიანობით საქვეყნოდ გაითქვეს სახელი.

მეგობრობა გზად და ხიდად...

ა. შენგელია,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე.

ჭიათურის მაღაროებში გაბედულად ნერგავენ ახალ ტექნიკას, სისტემატურად იზრდება მარგანეცის გამოღება. დიმიტროვის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელ ფაბრიკაში წარმატებით იყენებენ ტელევიზიას.

* * *

სურათზე: ფაბრიკის დისპეტჩერი ინჟინერი ვ. ტატიშვილი და ავტომატური სამსახურის უფროსი ბ. კვეტანაძე ტელევიზიის საშუალებით თვალყურს ადევნებენ საწარმოო პროცესებს.



## საძოვრებზე წყალი მოჩუხჩუხებს

თუში მეცხვარეები ფარეხებიდან, რომლებიც მოწყობილია ვაშლოვანის მთების ახლოს, ცხვრის ფარებს ივრისაკენ მიერეკებოდნენ. სამუხის ველი უნდა გაევლოთ და ივრის წყალი დაელევინებინათ.

— რამდენი კილომეტრია ივრამდე?

— 15-20 კილომეტრზე ნაკლები არ არის.

— კი, მაგრამ განა შეიძლება ამ მანძილზე ცხვრის ყოველდღიურად გარეკვა?

— მაშ რა ვქნათ, საძოვრებზე წყალი არ არის. სამ დღეში ერთხელ ვასმევთ წყალს.

— რატომ ცისტერნებით არ ეზიდებით წყალს?

— ვეზიდებით, დიდ სახსრებს ვხარჯავთ, მაგრამ ცისტერნებით მოტანილი წყლით ათეულ ათასობით სულ ცხვარს ვერ გავაჭრებთ.

ვეკითხებოდით და მეცხვარეები გვიპასუხებდნენ. დავრწმუნდით, რომ ალვნის საბჭოთა მეურნეობის ცხვრის ფარებს წყალი უჭირდათ. ამ მხრივ არც თელავის რაიონის კოლმეურნეობათა ცხვრის ფარები იყვნენ დალხინებულნი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დროული ღონისძიება მიიღეს საძოვრების სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად. 1962 წელს მდინარე იორზე, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სოფელ ქეხემანის მახლობლად „სამგორწყალმშენის“ № 2 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ნ. იმნაძე) მშენებლები მივიდნენ. დაიწყო შირაქ-ელდარის წყალსაქაჩის აგება.

მშენებლებმა იმამაცეს. პაპანაქება სიცხესა თუ ქარში დილიდან ღამემდე შრომობდნენ. თხრიდნენ მიწას, ასხამდნენ ბეტონს, აწყობდნენ მილებს და სხვ. აშენდა წყალსაქაჩი, დამლექი, გასაფილტრი აუზი, მირზაანიდან, რომელიც იორს დაშორებულია 29 კილომეტრით, მაღალი ძაბვის ელექტროხაზი გაიყვანეს. 258 კილომეტრზე მილები ჩააწყეს. სამუხში, სატორგეში და პატარა შირაქში სამას-სამასი კუბმეტრი მოცულობის წყლის აუზები დადგეს. ოც ადგილას მოაწყეს ცხვრის სარწყულებელი, აგრეთვე ცხვრის გასაბანებელი 6 აბაზანა.

...და აი ამას წინათ სამუხსა და სატორგეში ივრის წყალი გადმოჩუხჩუხდა. მეცხვარეებმა იზეიმეს, ათობით ფარას შორს წასვლა აღარ უხდება.

მუშაობა გრძელდება. სამუშაოთა მწარმოებელმა მიხეილ შენგელიძემ თქვა:

— ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. წელს წყალი უნდა მივიყვანოთ პატარა შირაქში და ჩრდილოეთ ხევზე. წყალს მიიღებს ვაშლოვანის ნაკრძალიც, სადაც დიდძალი სასარგებლო ნადირი და ფრინველი ბინადრობს. დამატებით შენდება სარწყულებლები და აბაზანები. პატარა შირაქ-ელდარის წყალსაქაჩის მილგაყვანილობა 333 კილომეტრს მიაღწევს. მეორე კვარტალში დავიწყებთ აგრეთვე ტარიბანა-უშის ხევის წყალსადენის რეკონსტრუქციას. იგი 1950 წელს აიგეს. სიგრძე 32 კილომეტრს არ აღემატება. რეკონსტრუქციის შემდეგ კი სამას კილომეტრს მიაღწევს.

შენგელიძემ დაგვისახელა მოწინავე ადამიანები, რომლებიც ბეჯითად შრომობენ პატარა შირაქ-ელდარის წყალსაქაჩის მშენებლობაზე. მათ შორის არიან შემდუღებელი მ. ძამაშვილი, ტრაქტორისტი ზ. ახალგედაშვილი, მებეტონეები რ. და მ. მესხიევები, მ. და რ. მურადოვები, მილების გამწყობები გ. უარუარაშვილი და ფ. მალალეცინი, ავტომძღოლები გ. ოზაშვილი, ზ. შანშიაშვილი და ზ. კვირიკაშვილი.

მეცხვარეები მარჯვენას ულოცავენ წყალსადენის მშენებლებს.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

### გეგმა შესრულებულია

საჩხერის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ვახტზე დგანან, — გვატყობინებენ პარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბრეგვაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შარმაძე და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. იაკობაშვილი, — ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 152,5 პროცენტით, რძისა — 110,2 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

# საზღვარგარეთის ცხოვრება

ეროვნული

## „დეილი უორკერის“ იუბილე

**ლონდონი,** 8 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ე. კორეევი გვატყობინებს:

გუშინ როიალ ფესტივალ-ჰოლის დარბაზში თავი მოიყარა გაზეთ „დეილი უორკერის“ ათასობით მკითხველმა, რათა აღენიშნათ გაზეთის 35 წლის იუბილე.

„დეილი უორკერის“ მთავარმა რედაქტორმა ჯორჯ მეტიუზმა, რომელმაც კრება გახსნა, პირობა მისცა შეკრებილთ, რომ გაზეთი კვლავაც მშრომელთა ფართო მასების უფლებებისა და მისწრაფებებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე იქნება. მეტიუზმა ამხილა გამალებული შეიარაღების და კოლონიური ომების კურსი, რომელსაც ლეიბორისტული მთავრობა დაადგა, და განაცხადა, რომ ინგლისელი მშვიდობის მომხრენი არასოდეს არ შეურიგდებიან ატომურ ბომბს.

უზარმაზარი სამხედრო ხარჯები საზღვარგარეთ და კაპიტალის გატანა, შეიარაღების ხარჯების მძიმე ტვირთი — აი მთავარი მიზეზები კრიზისისა, რომელსაც ინგლისი განიცდის, განაცხადა თავის გამოსვლაში დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა.

გოლანმა გადაჭრით დაგმო ვიეტნამში ამერიკის აგრესიისათვის ინგლისის მხარდაჭერის პოლიტიკა.

კრება დამთავრდა ინტერნაციონალის სიმღერით.

„დეილი უორკერის“ ფონდისათვის 1500 გირვანქა სტერლინგი შეაგროვეს.

## სტუმრად კალკუტაში

**დელი,** 7 მარტი. (საკდესი). შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა პარლამენტარების დელეგაცია უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ს. ნასრიდინოვას მეთაურობით, რომელიც ინდოეთში მოგზაურობს, კალკუტაში ჩავიდა.

## ლაიპციგის ბაზრობაზე

**ლაიპციგი.** (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოწვევით ლაიპციგში ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები გ. ი. ვორონოვი, პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. გ. იგნატოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ. ე. დიმშიცი, ი. ტ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი, ლ. ვ. სმირნოვი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ი. ვ. შიკინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფთან, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებთან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან ერთად საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს ლაიპციგის ბაზრობის ტექნიკური გამოფენა და სსრ კავშირის პავილიონი.

## გერმანელი ხალხის ინტერესებისათვის

**ლაიპციგი.** (საკდესი). 6 მარტს აქ ლოზუნგით „ატომური შეიარაღების წინააღმდეგ, მშვიდობისა და ურთიერთგაგებისათვის!“ გაიხსნა სრულიად გერმანიის მუშათა XXI კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციები. როგორც სტუმრები კონფერენციას ესწრებიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, საბჭოთა კავშირის მშრომელების, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, იტალიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების პროფკავშირთა დელეგაციები.

ორივე გერმანული სახელმწიფოსა და დასავლეთ ბერლინის მშრომელთა წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ უზრუნველყონ გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანება და ხელი შეუშალონ იმას, რომ გერმანიის ტერიტორიიდან გაჩაღდეს ახალი ომი.



ეს ფოტოსურათები ნათლად ასახავენ იმათ გაუგონარ მხეცობას, ვისი შეწყალებაც „ხანდაზმულობის“ საბაბით სურთ ახლა ბონელ რევანშისტებს. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ უდანაშაულო ადამიანთა უზარმაზარ საფლავს ვილნიუსის მახლობლად. ამ საფლავში 9.300 დახვრეტილი ადამიანი იყო ჩამარხული. მარჯვნივ — ოსვენციმის ტყვეები.

ფოტო მ. რედკინისა და ა. მოროზოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## „მძიმე მოლაპარაკება“

**ბონი,** (საკდესი). ბონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული ინგლისის პრემიერ-მინისტრი ვილსონი მოლაპარაკებას გამართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ერჰარდთან. როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იუწყება, პარტნიორები განიხილავენ ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის საკითხთა ფართო წრეს. ყურადღების ცენტრში იქნება ისეთი საკითხები, როგორიც არის ნატოს ატომური ძალების შექმნა, ფინანსური ხარჯები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ინგლისის ჯარების შენახვისათვის, გერმანიის პრობლემა, „ნატოს რეფორმა“, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა და სხვ. აქ მიაჩნიათ, აღნიშნავს გაზეთი „გენერალ-ანცაიგერი“, რომ ნატოს „ატლანტიკური ატომური ძალების“ და „მრავალმხრივი ატომური ძალების“ პროექტები პრემიერ-მინისტრისა და კანცლერის საუბრების მთავარი თემა იქნება.

ბონს სურს შეიპყროს ინგლისი, რომ მხარს დაუჭერს მისწრაფებაში ბუნდესვერი აზიაროს ატომურ იარაღს. ამასთან იგი არ აპირებს დაუთმოს ლონდონს სხვა საკითხებშიც, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორივე ქვეყნის ურთიერთობაში.

რაც შეეხება გერმანიის პრობლემას, დასავლეთ გერმანიის პრესის აზრით, ბონი კვლავ მოსთხოვს ინგლისელ პარტნიორებს მხარი დაუჭირონ ეგრეთ წოდებულ „თვითგამორკვევის უფლებას“, რომლითაც რაინზე ნიღბავენ თავიანთ აგრესიულ გეგმებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ.

ეხება რა მომავალი მოლაპარაკების პერსპექტივებს, გავლენიანი გაზეთი „დი ველტი“ აცხადებს, რომ ამ „მოლაპარაკებაზე ძალიან ძნელი იქნება საერთო შედეგების მიღწევა“. დასავლეთ გერმანიის სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ ვილსონისა და ერჰარდის მიერ საერთაშორისო საკითხების და ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრობლემების განხილვას „მძიმე ხასიათი“ ექნება.

## ჩინეთ-პაკისტანის კომუნიკე

**პეკინი,** 8 მარტი. (საკდესი). პეკინში ხელი მოაწერეს ჩინეთ-პაკისტანის კომუნიკეს პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის აიუბ-ხანის ჩინეთში ყოფნის შესახებ. ორივე მხარე, ნათქვამია კომუნიკეში, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ დამთავრდა საზღვრის დემარკაცია საზღვრის შესახებ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, რომელიც 1963 წლის მარტში დაიდო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და პაკისტანს შორის. მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს ჩინეთსა და პაკისტანს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების გამო. მათ კვლავ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განავითარონ მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის ბანდუნგის კონფერენციის ათი პრინციპის სულისკვეთებით.

პაკისტანის პრეზიდენტმა სთხოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ლიუ შაო-ცის ოფიციალურად ეწვიოს პაკისტანს. ამ მიწვევას კმაყოფილებით დაეთანხმა ლიუ შაო-ცი.

## პირველი შეხვედრა

**ბონი,** 8 მარტი. (საკდესი). დღეს დასავლეთ გერმანიის კანცლერის რეზიდენციაში — შაუმბურგის სასახლეში — დაიწყო მოლაპარაკება ინგლისის პრემიერ-მინისტრ ვილსონსა და კანცლერ ერჰარდს შორის.

მოლაპარაკების პროგრამაში შეტანილია „ატლანტიკის ატომური ძალების“ შექმნის ინგლისური გეგმა, საკითხი ინგლისის „რაინის არმიის“ ჯარების შენახვის შესახებ, რომლებიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არიან, გერმანიის პრობლემა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საკითხი და სხვ.

ვილსონი, რომელიც გუშინ ჩამოვიდა ბონში, საღამოს „კერძო წესით“ შეხვდა ერჰარდს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

## ეძებენ მხარდაჭერას

**ვაშინგტონი,** საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იუწყება: გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა რასკმა მიიწვია ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა ელჩები, რათა „განემარტა“ ამერიკის ახლანდელი პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ასეთსავე „ლექციებს“ წაუკითხავენ ვაშინგტონში აკრედიტებულ სხვა ქვეყნების ელჩებს. ახსნისათვის რა ამ „ლექციების“ მიზნებს, გაზეთი „ვაშინგტონ ივნინგ სტარი“ წერს, რომ ეს ლექციები ნაწილია კამპანიისა, რომლის საშუალებითაც ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ საერთაშორისო მხარდაჭერა მოუპოვონ თავიანთ პოზიციას ინდოჩინეთში. სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა, როგორც ჩანს, თვითონ შეეცადოს განეიტრალოს დასავლეთის ბევრი ქვეყნის მთავრობათა მზარდი უნდობლობა იმ პროვოკაციული მოქმედების გაფართოებისადმი, რასაც ვაშინგტონი აწარმოებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

რაღაც ამდაგვარი ხორციელდება თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. პრეზიდენტი ჯონსონი იწვევს, ისევ ჯგუფებად, სენატორებსა და კონგრესმენებს თეთრ სახლში და რასკთან და თავდაცვის მინისტრ მაკნამარასთან ერთად გააცნობს ხოლმე კანონმდებლებს „ვიეტნამის ომის საიდუმლოებებს“. ამ სემინარის მთავარი მიზანი ის არის, რომ მხარი დააჭერინონ კონგრესმენებს ამერიკის არმიის მზარდი აგრესიული აქციებისათვის სამხრეთ ვიეტნამში და ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ. თეთრ სახლთან დაახლოებული მიმომხილველის უილიამ უაიტის აზრით, ამ სემინარებს თითქოს „საუცხოო შედეგები“ მოაქვს.

მაგრამ საქმეში ჩახედულ დედაქალაქელ ჟურნალისტ რიჩარდ უილსონს მიაჩნია, რომ 75 დემოკრატი — კონგრესის წევრი წინანდებურად გამოდის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საშიში პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ ინდოჩინეთში.

საგულისხმოა, რომ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორიც არიან სენატის დემოკრატთა უმრავლესობის ლიდერი მენსფილდი, სენატის კომისიათა თავმჯდომარეები ფულბრაიტი და რასელი, განსვენებული პრეზიდენტის ძმები სენატორები რობერტ კენედი და ედვარდ კენედი და სხვები დუმან ან თუ გამოთქვამენ თავიანთ აზრს, ერთნაირ შეფასებას არ აძლევენ სამხედრო აქციებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამრიგად, თეთრი სახლის გაძლიერებულ ცდებს, ჩაახშოს საღად მოაზროვნე ადამიანთა ხმები ამერიკის შეერთებულ შტატებში, შეაკოწიწოს გაერთიანებული ფრონტი მხარდაჭერისა თავიანთი სამხედრო მოქმედებისადმი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე დასავლეთის სახელმწიფოთა ბანაკში, არ მოაქვს ჯერჯერობით შესამჩნევი შედეგები, რადგან ეს მოქმედება საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა, მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის აბუჩად აგდებაა.

## რასკი თავს იმართლებს

**ნიუ-იორკი,** 8 მარტი. (საკდესი). გუშინ ტელევიზიით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი. იგი ცდილობდა გაემართლებინა ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ორი ბატალიონის გადასხმა სამხრეთ ვიეტნამში. რასკმა განაცხადა, რომ ამ ქვედანაყოფებს არ გამოიყენებენ „დამშვიდების“ ოპერაციებში (ე. ი. სამხედრო მოქმედებაში პარტიზანთა წინააღმდეგ), არამედ განალაგებენ ამერიკის და-ნანგის სამხედრო-საჰაერო ბაზის რაიონში „ამ რაიონის საერთო უშიშროების განსამტკიცებლად“.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს საიგონიდან გადმოცემულ ცნობაში, 27 ათას ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის, რომლებიც ახლა სამხრეთ ვიეტნამში იმყოფებიან, საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილები ამერიკის შეერთებული შტატების პირველი სამხედრო ქვედანაყოფებია, რომლებიც ასრულებენ სხვა როლს, ვიდრე „მრჩევლები“.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის კორესპონდენტი და-ნანგიდან იუწყება, რომ ამერიკის საზღვაო ქვეითმა ჯარმა და-ნანგში შეცვალა სამხრეთვიეტნამელი პარაშუტისტები, რომლებიც პატრულობდნენ ბაზას გარშემო.

## პარტიზანთა შეტევა

**ნიუ-იორკი,** 8 მარტი (საკდესი). დღეს დილით სამხრეთვიეტნამელმა პარტიზანებმა შეუტიეს მთავრობის ჯარების სპეციალური ნაწილების ბანაკს, რომელიც მდებარეობს საიგონის ჩრდილოეთით პროვინცია ბინ-დინში და ნაღმსატყორცნებისა და შაშხანების ცეცხლი დაუშინეს. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება საიგონიდან, დაიჭრა სამი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ამ შეტაკების დროს მთავრობის ჯარში იმყოფებოდნენ.

## საიგონის ყოველდღიურობა

**პარიზი,** (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დღეს საიგონში გავრცელდა ხმები, რომ მწიფდება ახალი სახელმწიფო გადატრიალება. კორესპონდენტი იუწყება, რომ ვიეტნამის სამხედრო-საჰაერო ძალების ბომბებითა და რაკეტებით შეიარაღებული ავიაგამანადგურებლები პატარა სიმაღლეზე ერთი საათის განმავლობაში დასტრიალებდნენ თავს საიგონსა და ბიენ-ჰოას სამხედრო-საჰაერო ბაზისაკენ მიმავალ გზას, და რომ ბიენ-ჰოას რაიონში შემჩნეული იყო ჯარების გადაადგილება. იუწყებიან აგრეთვე, რომ საიგონში შეიყვანეს არმიის ქვედანაყოფები, მათ შორის საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები.

## დაიწყო ჯარების გადასხმა

**ნიუ-იორკი,** 8 მარტი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის და-ნანგის ნავსადგურში დღეს დაიწყო ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ქვედანაყოფების გადასხმა. ამას სამხრეთ ვიეტნამიდან იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი. ამერიკის ჯარების პირველი ქვედანაყოფები და-ნანგში გუშინ ჩავიდნენ. როგორც განაცხადა ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის მე-9 საექსპედიციო ბრიგადის მეთაურმა ბრიგადის გენერალმა კარჩმა, დღეს ნავსადგურში გადასხამენ დაახლოებით 1.400 ჯარისკაცს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, და-ნანგში, სადაც განლაგებულია ამერიკის დიდი სამხედრო ბაზა, რამდენიმე დღეში სულ გადასხამენ საზღვაო ქვეითი ჯარის 3.500 ჯარისკაცს.

## მშვიდობისათვის

**ჰანოი** (საკდესი). აქ გამოქვეყნდა განცხადება ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტისა, რომელმაც მკაცრად დაგმო ამერიკის ავიაციის ავაზაკური მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ვიეტნამელი ხალხი, ნათქვამია განცხადებაში, მოუწოდებს მთელ პროგრესულ კაცობრიობას მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის დაიწყოს მტკიცე მოქმედება ამ დანაშაულებრივი აქტების აღკვეთისათვის და კიდევ უფრო მძლავრი მხარდაჭერა გაუწიოს ვიეტნამის სამართლიან ბრძოლას ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიოს ხალხთა თანაგრძნობითა და მხარდაჭერით, ხაზგასმულია განცხადებაში, ვიეტნამელი ხალხი, უეჭველია, დაამარცხებს ამერიკელ აგრესორებს.

## ახალი პროვოკაცია

**ჰანოი,** 8 მარტი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდლობამ ვიეტნამის საზედამხედველო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას პროტესტი გაუგზავნა სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის ჩასვლის წინააღმდეგ.

ეს აქტი პროტესტში მიჩნეულია როგორც ვიეტნამის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ფრიად სერიოზული ხელყოფა, როგორც შეუწყნარებელი პროვოკაცია ვიეტნამელი ხალხის, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების წინააღმდეგ. ჟენევის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ, რომლებსაც ხელი მოაწერეს 1954 წელს, კვლავ უაღრესად სერიოზულად დაარღვიეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა და მათმა აგენტებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, ხაზგასმულია პროტესტში, უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა ყველა შედეგისათვის, რაც მოსდევს იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ ვიეტნამში აგრესიული მიზნით გაგზავნეს ახალი სამხედრო ქვედანაყოფები.

### ჩვენი მეგობრების ღიმილი

გულითადი შეხვედრა.

ნახ. ჟურნალ „ეილენშპიგელიდან“ (გდრ).

## „ტრეშერის“ ტრაგედია

### კომენტარს უკეთებს კონტრ-ადმირალი როდიონოვი

**მალე ორი წელიწადი შესრულდება, რაც ტრაგიკულად დაიღუპა ატომური წყალქვეშა ნავი „ტრეშერი“, რომელიც 1963 წლის 10 აპრილს დილით ატლანტის ოკეანეში ჩაიძირა. მისი დაღუპვის საიდუმლოება დღემდე გამოუცნობი რჩება. ამაო გამოდგა კატასტროფის ნამდვილი მიზეზების გამორკვევის ყველა ცდა. ეს აღიარა თავის შემაჯამებელ მოხსენებაში კონგრესისადმი ატომური ენერგიის გაერთიანებულმა კომისიამ, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ დაამთავრა „ტრეშერის“ დაღუპვის გარემოებათა გამოძიება.**

**ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი შეხვდა ცნობილ სპეციალისტ-წყალქვეშელს კონტრ-ადმირალ ანატოლი როდიონოვს და სთხოვა მას კომენტარი გაეკეთებინა გამოძიების შედეგებისათვის.**

სულაც არ მაკვირვებს, რომ „ტრეშერის“ საიდუმლოება დღემდე არ არის გამოცნობილი, — თქვა კონტრ-ადმირალმა როდიონოვმა. — წყალქვეშა ნავი, როგორც ცნობილია, ჩაიძირა უილკინსონის ღრმულის რაიონში, სადაც სიღრმე ადგილ-ადგილ 2.500-3.000 მეტრს აღწევს. ეს ძალიან აძნელებდა ასეთ დიდ სიღრმეზე ჩაძირული ხომალდის ნაშთების მონახვის ცდას. პირველი იყო.

კატასტროფიდან მხოლოდ წლინახევრის შემდეგ წარმატებით დაგვირგვინდა დაღუპული წყალქვეშა ნავის ძებნა, რომელშიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებთან ერთად ოკეანოგრაფიული გემები მონაწილეობდნენ: 1964 წლის 30 სექტემბერს ვაშინგტონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვეგანაყოფებმა ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინეს „ტრეშერის“ ნამსხვრევები. დიდ სიღრმეზე ჩასაშვები ბატისკაფის „ტრიესტის“ ეკიპაჟმა, გამოაცხადა იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტომ, შეძლო ფოტოგრაფიულად გადაეღო წყალქვეშა ნავის კორპუსის კიჩოს ნაწილი და ქიმბანის დანაშენი. ფოტოსურათები გადაღებულ იქნა 3.000 მეტრ სიღრმეზე. მიუხედავად, იმისა, რომ კორპუსი და ქიმბანის დანაშენი ლამით იყო დაფარული, ბატისკაფის ეკიპაჟმა იცნო „ტრეშერი“: წყალქვეშა ნავის ერთ-ერთ სექციაზე ბუნდოვნად ჩანდა ნომერი „593“.

ბატისკაფიდან გადაღებულმა ფოტოსურათებმა შესაძლებლობა მისცეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპეციალისტებს შეეხედნათ ჩაძირული წყალქვეშა ნავის კორპუსისათვის, მაგრამ ამან ძალიან ცოტა რამ მისცა მათ. „ტრეშერის“ დაღუპვის საიდუმლოება ახლაც ისევე გაურკვეველია, როგორც ტრაგედიის დღეს: მისი დაღუპვის ნამდვილი მიზეზების შესახებ შეიძლება მხოლოდ ვარაუდები გამოითქვას.

პატარა პრობლემას წავაწყდით... დიფერენტი გვაქვს კიჩოსაკენ... ვცდილობთ გაქრევას.

მაშველ გემს „სკაილარკს“ ამ ტელეფონოგრამას რომ გადასცემდა, კაპიტან-ლეიტენანტი ჯონ ჰარვეი არა გვგონია ფიქრობდა, რომ სულ ხუთი წუთის შემდეგ მისი წყალქვეშა ნავი ქვასავით გაექანებოდა ოკეანის ფსკერისაკენ. „ტრეშერის“ ახალგაზრდა მეთაურს, ჩანს, ევეი არ ეპარებოდა, რომ „პატარა პრობლემას“ ადვილად გადაჭრიდნენ, თორემ მაშველ გემს უფრო დაწვრილებითს ცნობას გადასცემდა.

ხოლო როცა „ტრეშერის“ მეთაური მიხვდა, წყალქვეშა ნავი განწირულია, უკვე გვიან იყო. კაპიტან-ლეიტენანტის უკანასკნელი ცნობა ნავში შეჭრილი წყლის ხმაურმა დაამახინჯა. წყალი ანგრევდა წყალშეუღწევ ტიხრებს და სწრაფად ავსებდა ნაკვეთურებს. ტიხრების ნგრევის ხმაურში „სკაილარკის“ შტურმანმა ჯეიმს უოტსონმა, ყოფილმა წყალქვეშელმა, მხოლოდ ორი სიტყვა გაარჩია: „...ზღვრული სიღრმე...“

დიახ, წყალქვეშა ფლოტის ისტორიაში უპრეცედენტო კატასტროფა, რომელმაც ას ოცდაცხრა მეზღვაურის სიცოცხლე შეიწირა, მოხდა ზღვრულის მახლობელ სიღრმეზე: გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, „ტრეშერის“ შემთხვევაში იგი სამას სამოც მეტრს შეადგენდა. თუ მხედველობაში მივიღებთ წყლის კოლოსალურ წნევას, რაც ასეთ სიღრმეზე რამდენიმე ასეულ ტონას აღწევს ერთ კვადრატულ მეტრზე, ეკიპაჟის დაღუპვა არსებითად ერთი წამის საქმე იყო. ვგონებ, ეს ერთადერთი რამ არის, რომელიც არავის არ ეეჭვება. კატასტროფის შესაძლო მიზეზების შესახებ კი სულ სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ.

მე ვთხოვე კონტრ-ადმირალ როდიონოვს კომენტარი გაეკეთებინა ზოგიერთი მათგანისათვის.

**პირველი აზრი:** ვიცე-ადმირალ ჰაიმენ რიკოვერს მიაჩნია, რომ „ტრეშერის“ ნაკვეთურებში წყალი შეიჭრა ბორტგარე არმატურით და დაანგრია მილგაყვანილობანი იმ ადგილებში, სადაც ისინი ნავის მკვიდრ კორპუსთან იყვნენ შეერთებული. თუ შეერთებათა ხარისხი, „ტრეშერის“ არაბირთვულ ნაწილში ექსპერიმენტული მეთოდით შემოწმებული, ამბობს ადმირალი, დამახასიათებელი იყო მთელი წყალქვეშა ნავისათვის, ეს იმას ნიშნავს, რომ მას „ჰქონდა რამდენიმე ასეული (!) შეერთება, რომლებიც მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა, როცა უკანასკნელად გავიდა ზღვაში“.

**როდიონოვი:** ვფიქრობ, რომ ჰაიმენ რიკოვერი შორს არ არის ჭეშმარიტებისაგან: შესაძლოა, რომ ფარულმა დეფექტებმა, რაც იყო მილგაყვანილობათა სისტემაში, რომელიც, როგორც ჩანს, ვერ შეძლეს ჯეროვნად შემოწმებინათ მთელ ნავში, საბედისწერო როლი შეასრულეს „ტრეშერის“ ტრაგედიაში. ამას ბევრი ამერიკელი სპეციალისტი აღიარებს. „კონგრესის გაერთიანებული კომისიის მოხსენება იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც წყალქვეშა ნავ „ტრეშერის“ დაღუპვის მიღმა იფარება, — წერდა თავის სარედაქციო სტატიაში ამა წლის თერთმეტ იანვარს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — ეს არსებითად ბრალის დადებაა სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის იმაში, რომ იგი ტექნიკურად არაკომპეტენტურია“.

ავარიული სიტუაციები, რაც უკანასკნელ წლებში ამერიკის ზოგიერთ სხვა წყალქვეშა ნავებზეც ხდებოდა (გამოქვეყნებული ცნობებითაც კი შეიძლება ოცდაათზე მეტი სერიოზული ავარია დავითვალოთ) მხოლოდ ადასტურებს ადმირალ რიკოვერის აზრს: მილგაყვანილობათა სისტემისა და ბორტგარე არმატურის დეფექტებს არაერთხელ შეუქმნია საფრთხე ეკიპაჟების სიცოცხლისათვის. შემიძლია დავიმოწმო ატომურ წყალქვეშა ნავ „ჰელიბატის“ მაგალითი. იგი დავალებას ასრულებდა და დიდ სიღრმეზე მიდიოდა. უეცრად ცხვირის ნაკვეთურში ბორტგარე არმატურით წყალი შეიჭრა. მკვეთრი დიფერენტი ცხვირისაკენ, რომელმაც სწრაფად მიაღწია სამოც გრადუსს, აძნელებდა ეკიპაჟის მოქმედებას. ნავმა ჩაძირვა იწყო. მხოლოდ მთავარი ბალასტის დაუყოვნებლივმა ავარიულმა გაქრევამ მისცა მას შესაძლებლობა ზედაპირზე ამოსულიყო.

სავსებით შესაძლებელია, რომ „ტრეშერზე“ ასეთივე სიტუაცია შეიქმნა. პირადად მე ვფიქრობ, რომ წყალი შეიჭრა რეაქტორის ნაკვეთურში. წყალმა შექმნა დიფერენტი კიჩოსაკენ, რის შეტყობინებაც მოასწრო ჯონ ჰარვეიმ, და მკვეთრად გაიდიდა უარყოფითი ცურვადობა. სულ უფრო მზარდი დიფერენტის გამო ტურბინები გაიჭედა. წყალქვეშა ნავმა სვლა დაკარგა და ჩაძირვა დაიწყო. წყალი ისე დიდი ოდენობით შედიოდა შიგ, რომ მთავარი ბალასტის გამოქრევის ცდამ ვეღარ იხსნა „ტრეშერი“ დაღუპვისაგან.

**მეორე აზრი:** პორტსმუტის სამხედრო-საზღვაო ვერფის ყოფილი უფროსი კონტრ-ადმირალი ჩარლზ პალმერი არ ეთანხმება რიკოვერს. კონტრ-ადმირალი ფიქრობს, რომ წყალქვეშა ნავი ეკიპაჟის შეცდომის გამო დაიღუპა. მანევრირების დროს „ტრეშერი“ ზღვრულ სიღრმეს გასცდა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, ამბობს ჩარლზ პალმერი.

**როდიონოვი:** კონტრ-ადმირალის ვერსია დამაჯერებელი არ მეჩვენება. ცხადია, არ შემიძლია ვამტკიცო, რომ პალმერმა იგი მუნდირის ღირსების დასაცავად წამოაყენა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: წყალქვეშა ნავი „ტრეშერი“ აგებული იყო პორტსმუტის ვერფზე.

რამდენადაც შემიძლია განვსაჯო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ გამოთქმული შეფასებებით, „ტრეშერის“ ოცდათხუთმეტი წლის მეთაური კაპიტან-ლეიტენანტი ჯონ ჰარვეი საკმაოდ გამოცდილი წყალქვეშელი იყო. იგი მონაწილეობდა ცნობილ არქტიკულ ცურვაში „ნაუტილუსზე“, მსახურობდა ატომურ წყალქვეშა ნავებზე „ტალიბისა“ და „სიდრეგონზე“, და ნაკლებად საფიქრებელია, რომ მას დაეშვა სერიოზული შეცდომა, რომელიც სიცოცხლედ დაუჯდა მთელ ეკიპაჟს.

ჯეროვნად უნდა დავაფასოთ ჯონ ჰარვეის სიმტკიცე. დიდ სიღრმეზე რომ წააწყდა მოულოდნელ პრობლემას, რომლის გადაჭრაც, ჩანს, შეუძლებელი აღმოჩნდა, მას არ დაუკარგავს სიმტკიცე: თავის სიცოცხლეში უკანასკნელი სიტყვებიც კი, რომლებსაც ნაკვეთურების მსხვრევის ხმაური ახშობდა, ჯონ ჰარვეიმ, როგორც „სკაილარკის“ შტურმანი ადასტურებს, „სავსებით მშვიდი“ ხმით წარმოთქვა.

**მესამე აზრი:** გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ტრაგედიის მიზეზი იყო ნავსაწინააღმდეგო რაკეტა „საბროკის“ აფეთქება. „ტრეშერს“ ამ რაკეტის საცდელი გაშვება უნდა განეხორციელებინა. „აფეთქების ჰიპოთეზის“ მომხრენი იმას იმოწმებენ, რომ კატასტროფის ადგილას იპოვნეს გაშავებული პლასტმასის ნაჭერი, რომელიც გარუჯულია, როგორც ვარაუდობენ, „უშუალოდ ახლოს ავარდნილი ალით“.

**როდიონოვი:** რაკეტა-ტორპედო „საბროკის“ აფეთქება, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მომხდარიყო „ტრეშერზე“, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ნამდვილად მოხდა. აფეთქების შემთხვევაში დანამდვილებით დაიშლებოდა რეაქტორის ტყვიის საცავი. ეს გამოიწვევდა ატლანტიკის წყლების ძლიერ რადიოაქტიურ დასენიანებას კატასტროფის რაიონში. ასეთი დასენიანება, საბედნიეროდ, აღნიშნული არ ყოფილა: ეს, შეიძლება ითქვას, ყველაზე სერიოზული მოსაზრებაა შესაძლო აფეთქების წინააღმდეგ. გარდა ამისა, აფეთქებას აუცილებლად გაიგონებდნენ „სკაილარკზე“. რაც შეეხება „ალის ავარდნით“ გარუჯულ პლასტმასის ნაჭერს, დამტკიცებული არ არის, რომ ის „ტრეშერს“ ეკუთვნოდა.

**მეოთხე აზრი:** ზოგმა 10 აპრილის ტრაგედიაში „წყალქვეშა ნავების ფარული ომის პირველი ეპიზოდი“ „დაინახა“.

**როდიონოვი:** ასეთი რამ შეიძლება „აზრად“ მოუვიდეს მხოლოდ იმას, ვინც ისწრაფვის ყოველი საშუალებით გააძლიეროს „ცივი ომი“. აი რას ამბობს სალი აზრის საწინააღმდეგო ამ ვერსიის შესახებ ფრანგი კონტრ-ადმირალი ლეპოტიე:

„აბსოლუტურად უაზროა ვარაუდი, რომ „ტრეშერი“ დაიღუპა უნაკლოდ ორგანიზებული წყალქვეშა დანაშაულის“ შედეგად, რაც თითქოს ჩაიდინა „უცნობმა“ წყალქვეშა ნავმა. თვით „ტრეშერი“ ნავსაწინააღმდეგო დამრტყმელი წყალქვეშა ნავი იყო და მოწინააღმდეგის აღმოჩენის უახლესი საშუალებები მოეპოვებოდა. გარდა ამისა, მას განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა წყალზედა საესკორტო ხომალდთან, რომელიც აგრეთვე აღჭურვილი იყო წყალქვეშა მიზნების აღმოჩენის ხელსაწყოებით... ყოველივე ეს ფრიად აძნელებდა „ტრეშერზე“ თავდასხმას, ხოლო თავდასხმას მართლაც რომ ჰქონოდა ადგილი, საესკორტო ხომალდი უეჭველად მიიღებდა შესაბამის სიგნალებს“.

წყალქვეშა ნავ „ტრეშერის“ ძებნისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე ლონდონში თვალსაჩინო ამერიკელმა ოკეანოგრაფმა დოქტორმა არტურ მაქსუელმა განაცხადა, რომ, როგორც იგი ღრმად არის დარწმუნებული, „დაღუპული წყალქვეშა ნავის ძებნა, რაც შეერთებულ შტატებს მილიონნახევარი დოლარი დაუჯდათ, ვერასოდეს ვერ გახდის შესაძლებელს ტრაგედიის ნამდვილი მიზეზის გამორკვევას“.

დოქტორმა მაქსუელმა, რომელიც თვითონ მონაწილეობდა ძებნაში, ეს აზრი გამოთქვა 1963 წლის შემოდგომაზე. მაშინ დაძირული ნავი კიდევ არ იყო ნაპოვნი. ბევრი სპეციალისტი იმასაც კი ფიქრობდა, რომ „ტრეშერის“ ძებნა უაზრო იყო. იგი ან ღრმად ჩაეფლობოდა ქვიშაში, ამბობდნენ ისინი, ან მძლავრი წყალქვეშა დინებანი მას შორს გაიტანდნენო. ეს ვერსია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობას იმდენად დამაჯერებელი ეჩვენა, რომ გადაწყვიტა თვალი გაედევნებინა იმისათვის, თუ როგორ იძირებოდა „ტრეშერი“. ამისათვის კატასტროფის რაიონში ნავარაუდევი იყო ჩაეძირათ ძველი წყალქვეშა ნავი „ტორო“.

ახლა „ტრეშერი“ მიგნებულია. შეერთებული შტატებისათვის აზრი აღარა აქვს იმას, რომ ზღვის ფსკერზე ჩაუშვან წყალქვეშა ნავი „ტორო“: დიდ სიღრმეზე ჩასაშვები ბატისკაფის ეკიპაჟმა, რომელმაც „ტრეშერის“ ნამსხვრევების ფოტოსურათები გადაიღო, შეიძლება ითქვას, დაღუპვას გადაარჩინა იგი. ზოგიერთ სპეციალისტს ახლა მიაჩნია, რომ დოქტორმა მაქსუელმა თავისი დასკვნა ლონდონში რამდენადმე ნაადრევად გააკეთა.

— შესაძლოა, ისინი მართალიც არიან, — თქვა კონტრ-ადმირალმა როდიონოვმა, როცა ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა. — ზღვის სიღრმეზე შეტევა ახლა სწრაფი ტემპებით წარმოებს. სავსებით შესაძლებელია, რომ მოახერხონ ზედაპირზე ამოიტანონ ჩაძირული წყალქვეშა ნავის ზოგიერთი ნაშთი, რომლების ფოტოსურათებიც ბატისკაფის ეკიპაჟმა გადაიღო.

შესაძლოა ისიც კი მოხერხდეს, რომ იპოვნონ „ტრეშერზე“ დარჩენილი მაგნიტოფონის ფირი: თქვენ ალბათ იცით, რომ წყალქვეშა ნავის მთელი ლაპარაკი საესკორტო გემ „სკაილარკთან“ მაგნიტოფონის ლენტზე იწერებოდა. თუ წყალში დიდხანს ყოფნას ფირი არ დაუზიანებია, ალბათ ცნობილი გახდება ჯონ ჰარვეის უკანასკნელი სიტყვებიც, რომლებიც წყალქვეშა ნავში შეჭრილი წყლის ხმაურმა ჩაახშო. შესაძლოა, სწორედ ამ სიტყვებით გამოირკვეს „ტრეშერის“ ტრაგიკული დაღუპვის საიდუმლოება.

**ი. კარჟავინი,**
ახ-ის კორესპონდენტი.

# ამ ქალაქისა ლაინ ღელეა ჭმირეები

ხშირად შენს გვერდით ცხოვრობს, შრომობს ადამიანი, ყოველდღიურად ხვდები მას, ესალმები, ესაუბრები, მაგრამ კი არ იცი, რა გადახდენია მას, რა უნახავს, რა განუცდია...

იქნებ მისმა ნაღვლიანმა სახემ, ნაადრევად გაჩენილმა ნაოჭებმა გაფიქრებინოს, რა შეემთხვა ცხოვრებაში, რომ ასე გატეხილაო. დიახ, ჩვენ მოვალენი ვართ პატივი ვცეთ გერმანელი ფაშისტებისაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნას, ვილაპარაკოთ იმ ადამიანებზეც, რომლებმაც გაუძლეს სიკვდილთან შერკინებას, გამოიჩინეს ადამიანის ზეამაღლებული სულის გმირობა და დღეს კვლავ მშვიდობიან ცხოვრებას ეწევიან, შენს გვერდით იღწვიან და თავიანთი კეთილსინდისიერი შრომით სამაგალითონი არიან.

გიამბობთ ერთი ასეთი ექიმი ქალის, ლენინგრადის ბლოკადის მონაწილის ნატალია ჰიპინაძის ცხოვრების ეპიზოდს.

* * *

გოგონები მხიარული კისკისით მიჰყვებოდნენ არაგვის ნაპირს. ისინი დროდადრო კენჭებს ისროდნენ აქაფებულ მდინარეში, ხან კი სიმღერას წამოიწყებდნენ და არემარეს საამოდ ახმიანებდნენ. დღეს მართლაც რომ სახიხარულო დღე ჰქონდათ. ჩაბარეს უკანასკნელი გამოცდა, მიიღეს შვიდწლედის დამთავრების მოწმობა და ახლა ვინ იცის საით გაეშურებოდნენ სწავლის გასაგრძელებლად.

— ნატო, გოგო, თბილისში მიდიხარ? — უკვე მერამდენჯერ ეკითხებოდნენ ამხანაგები მათში ყველაზე მაღალ, გამხდარ, დიდთვალება გოგოს.

— ჰო, სამედიცინო ტექნიკუმში მინდა შევიდე.

— მერე ისევ აქ, ჩვენთან ამოხვალ? ნატომ თმა შეისწორა, ფასანაურის მწვანით შეფენილ მაღალ მთებს გახედა.

— განა ასეთ სილამაზეს შეელევა კაცი?

მაგრამ სულ სხვანაირად დატრიალდა ნატოს ცხოვრება.

ტექნიკუმის ფრიადებზე დამთავრების შემდეგ ნატო უგამოცდოდ მიიღეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. აქაც წარმატებით სწავლობდა მოიელი გოგონა. 1939 წელს 22 წლისამ დაამთავრა ინსტიტუტი და სამუშაოდ ქერჩში გაგზავნეს.

გულთბილად შეხვდნენ ქერჩში საქართველოდან ჩასულ ქალიშვილს. უფროსმა კოლეგებმა ყველაფერი აუხსნეს, ასწავლეს, რა შეადგენდა მის მოვალეობას. ნატომაც თავისი ყურადღებითა და მუყაითობით ყველას პატივისცემა დაიმსახურა.

ნატომ აქ გაიცნო ლენინგრადელი საზღვაო ოფიცერი გიორგი ბოგოლიუბოვი და სამუდამოდ დაუკავშირა მას თავისი ცხოვრების გზა.

გიორგიმ თავისი ახალგაზრდა ცოლი მალე ლენინგრადში წაიყვანა. იქ ნატალიამ სოფიო პეროვსკაიას სახელობის საავადმყოფოში დაიწყო სამსახური. ახალგაზრდებს უზომოდ უყვარდათ ერთმანეთი, ღილით ცოლ-ქმარი ერთად მიდიოდნენ სამსახურში, საღამოობით დადიოდნენ თეატრებში და ასე ბედნიერად მიდიოდა მათი ცხოვრების დღეები.

1941 წლის 22 ივნისის დილა გათენდა. კვირადღე იყო. გიორგი და ნატალია პეტერგოფის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ. ნატალია თვალს ვერ წყვეტდა წინაპართა ხელით შექმნილ შესანიშნავ სკულპტურებს, ლამაზ შადრევნებს. ამ დროს ეთერში გაისმა დიქტორის ხმა. თითქოს ყველაფერი უცებ გაჩერდა, ყველანი ადგილზევე გაშეშდნენ, ახალგაზრდებს სახეზე ბედნიერების ღიმილი გაეყინათ. ომი, გერმანელი ფაშისტები მუხანათურად დაგვესხნენ თავს!

გიორგი მაშინვე თავის საზღვაო ნაწილში გაიქცა, ნატალია კი დამწუხრებული წამოვიდა სახლისაკენ. ცოტა ხანიც, და ლენინგრადის ქუჩებში მიდიოდნენ ჯარის ნაწილები, მატროსები. ამავე ღამეს ფაშისტებმა დაიწყეს ქალაქის დაბომბვა.

აიწყო ოჯახები. ცეცხლის ალში გაეხვია სახლები. შეშინებული ხალხი გამორბოდა გარეთ, ვინ დედას დაეძებდა, ვინ შვილს. ძმას. ხალხმა ქალაქიდან იწყო გასვლა. პირველ რიგში გაპაჟადათ ბავშვები. ფაშისტები სულ უფრო უტევდნენ ქალაქს.

ნატალია ფეხმძიმედ იყო, მაგრამ როგორც ექიმს მას არ ჰქონდა ევაკუაციის უფლება. ის ქალაქში დარჩა. მათთან, საავადმყოფოში ფინეთის ფრონტიდან ყოველდღიურად მრავალი დაჭრილი მოჰყავდათ. ექიმები ვერ აუდიოდნენ მოვლას. ყოველი განგაშის დროს ნატალია საავადმყოფოში გარბოდა. საყვირების გამეყინავი ხმა კი დღეში 8-ჯერ, 18-ჯერ და კიდევ უფრო ხშირად გაისმოდა.

ლენინგრადელები ერთ მტკიცე სხეულად იქცნენ. ყველანი, დიდი თუ პატარა, ვისაც კი შეეძლო ხელში ნიჩბის აღება, მიდიოდნენ ქალაქის მისადგომებზე ტანსაწინააღმდეგო სანგრების სათხრელად. მათ რიგში იყო ქართველი ქალი ნატალიაც.

დადგა შემოდგომა, აცივდა, პროდუქტები შემცირდა, დასუსტებული ხალხი მაინც მედგრად განაგრძობდა ბრძოლას ქალაქის დასაცავად. ხშირად საავადმყოფოს მთავარ ექიმს ნატალიასთვის უთქვამს თავი დაენებებინა მიწის თხრისათვის, მის მდგომარეობაში მძიმე იყო ასეთი სამუშაო, მაგრამ იგი მათთან იყო ყველგან, ყველაფერში.

საზენიტო ბატარეების გადამღობ ცეცხლში ფაშისტების ბომბდამშენები ეშელონობით მოფრინავდნენ ქალაქში. ყრიდნენ ბომბებს, შუაზე აპობდნენ სახლებს. ცეცხლის ალში ახვევდნენ ყველაფერს, ქვემეხების ხროლით ხოცავდნენ ქუჩაში გამორჩენილ ადამიანებს. ქალაქში სიცოცხლე ჩაკვდა. დაცარიელდა ნევის პროსპექტი.

ო, რამდენი უბედურება ნახა ნატალიამ იმ ხანად. რამდენჯერ ამოუყვანია ნანგრევებიდან დასახიჩრებული ადამიანები. რამდენი თოთო ბავშვი უნახავს აგურებში ჩაფლული, რამდენი პატარა ატირებული მის ხელში — „პური მინდა“, „დედა მინდა“, მშობელი კი იქვე, მის გვერდით იყო გასისხლიანებული, დამახინჯებული. ო, ნურასდროს ნუ გამეორდება ეს სურათი!

მდგომარეობა თანდათანობით მძიმე ხდებოდა. სასურსათო წიგნაკებზე პური შემცირდა. ახლა მოსამსახურეები 125.0 გრამს იღებდნენ. ქალაქში შიმშილი მძვინვარებდა. ბინებში არ იყო კანალიზაცია. მილებში წყალი გაიყინა. დაუძლურებულ ადამიანებს ნევის ყინული უნდა გაეტეხათ, რომ წყალი ამოეღოთ, ქუჩებში დასუსტებული ხალხი ეცემოდა და კვდებოდა.

ნატალიას სახლში ჯერ ქმრის ბიძა გარდაიცვალა, შემდეგ დედამილი და მამამთილი დასივდნენ და დაიხოცნენ. მიცვალებულებს არავინ ტიროდა, რადგან დღეს თუ ხვალ მათაც ეს დღე ელოდათ. გიორგი იქვე ლენინგრადის დამცველთა რიგებში იყო, მაგრამ ცოლ-ქმარს ერთმანეთისთვის ხმა ვერ მიეწვდინათ.

დადგა 1942 წლის იანვარი. ლადოგის ტბა გაიყინა. ამ გზით დაიწყო ლენინგრადში პროდუქტების, მედიკამენტების, საწვავის შეზიდვა. მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში. ლენინგრადელებმა ამ გზას „სიცოცხლის გზა“ უწოდეს. პური მოსამსახურეებს მოემატათ, ახლა ისინი 250,0 გრამს იღებდნენ, მოახლოვდა ნატალიას მშობიარობის დრო. სხვა, მასავით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებთან ერთად იგი „სიცოცხლის გზით“ გაიყვანეს ლენინგრადიდან. ორი კვირის შემდეგ ნატალია ქ. კიროვში აღმოჩნდა. აქ საავადმყოფოში შეეძინა ვაჟი, რომელსაც არჩილი დაარქვა. მაგრამ ბავშვი არასრულყოფილი დაიბადა.

შემდეგ ნატალია მშობლებმა ჩამოიყვანეს საქართველოში, უმკურნალეს, მოასულიერეს. გავიდა ხანი. ომიც დამთავრდა. გიორგიმ მონახა თავისი ცოლ-შვილი და კვლავ ლენინგრადში წაიყვანა. ნატალია ისევ მივიდა თავის ყოფილ სამუშაოზე, პეროვსკაიას სახელობის საავადმყოფოში. რა მძიმე იყო დანგრეული ქალაქის ნახვა. ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი შემზარავ სურათებს აგონებდა. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება კი მის გულში ტრიალებდა.

ბლოკადის მძიმე დღეებმა საშინელი კვალი დაჩნია მის ცხოვრებას. ახლა არჩილი 24 წლის ჭაბუკია, მაგრამ ლენინგრადის ბლოკადის დღეებმა მას ნორმალური ადამიანის ცხოვრება წაართვა.

ნატალია ჰიპინაძემ, როგორც ლენინგრადის ბლოკადის მონაწილემ, მიიღო მედლები: „ლენინგრადის დაცვისათვის“, „ლენინგრადის 250 წლისთავისათვის“. მათ კიდევ ორი ბავშვი შეეძინათ, გიორგი და ნატალია საცხოვრებლად გადმოდიან ყირიმში, ქალაქ ფეოდოსიაში. აქ ნატალია სანატორიუმ „ვოსხოდში“ მუშაობს რამდენიმე წელს. მასზე როგორც საუკეთესო ექიმსა და გულისხმიერ ადამიანზე არაერთხელ დაწერილა საოლქო გაზეთ „ობედაში“, დაჯილდოებულია ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და ფეოდოსიის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამაგალითო სიგელებით.

ამჟამად ნატალია ჰიპინაძე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური საავადმყოფოს ბიოკიმიურ ლაბორატორიაში მუშაობს ექიმად. აქაც საქმის ცოდნითა და ეზერგიული შრომით მთელი კოლექტივის სიყვარული დაიმსახურა.

მაგრამ ნატალიას არასოდეს არ ავიწყდება ომის ჭრილობები, მას ოდესღაც სამი შვილის დედას, მხოლოდ ერთი ნატვრა აქვს — ნურასდროს ნუ გამეორდება საძულველი ომი. ნურასოდეს ნუ ნახავენ ჩვენი შვილები შიმშილს, სიმწარეს, ჭამებას.

არა! ომი აღარ უნდა გამეორდეს. ეს ყველა დედის ხმაა!

**ლარისა ხუბულური.**

# ᲓᲔᲓᲘᲡ ᲮᲛᲐ

## ᲓᲔᲓᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲠᲘᲡᲐᲜ

ძალა გკონია გოლიათური,
გული გდებია ამაყი ვეფხვის,
ცხადად აქცევ ოცნებად თქმულს,
უკვალავ გზებზე დაადგი ფეხი.

ლაღი ოცნებით მომავალს უმზერ,
ოქტომბრის მზისქვეშ შრომობ
და ხარობ.
რვა მარტს გილოცავ, მოვალ
ათასჯერ
ამ დღეს დაესწარ, საბჭოთა
ქალო!

**ვ. ᲮᲣᲪᲣᲠᲐᲣᲚᲘ.**
**დუშეთის რაიონი, სოფელი ხორხი.**

ქართველო ქალო, დიდება შენდა,
შენით სამშობლოს უდგას
ნათელი;
შენა ხარ ჩვენი გმირობის დედა,
შენით ამაყობს ყველა
ქართველი.

ახლა შენს ნანას ბულბული
გალობს,
როდი უბიხარ შინ მარტო კერას.
ვეფხვების დედავ, ქართველო
ქალო,
მშვიდობის დროშას მშვიდობით
კრავ.

**დ. ᲮᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**
Ქ. ᲝᲜᲘ.

შენთვის, ჰე, ჩემო მამულო,
სიტკბოთა ჩვენთა ტაძარო,
მინდა გავზარდო შვილები,
დედის სახელი ვატარო.

**ᲐᲠᲘᲐᲓᲜᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**

რვა მარტს მზეა უფრო თბილი,
ხეზე კვირტი თვალებს ნაბავს,
ზღვა გაშლილა ვით მანდილი,
ყვავილები შვენის მთა-ბარს.
ქალის თვალი ათბობს ვაზებს,
ჰყვავის მთა და ჰყვავის ველი,
ცას და მიწას ალამაზებს
ყოვლისშემძლე ქალის ხელი.
დედას მხარზე უზის მტრედი,
სწყეულის მუდამ ომის
მზრახველს.
თოვლს რა ადნობს? —
გული დედის,
ჯეჯილს დედის სუნთქვა არხევს.
მუშა ფუტკარს მოაქვს სკაში,
თუ სადმე აქვს ყვავილს თაფლი...
ოჯახს შვენის შუქი ბავშვის
და ქვეყანას — ქალის მადლი.

**Ო. ᲩᲘᲥᲕᲐᲨᲘᲐ.**
სოხუმი.

დედა გულია ჩვენი სიცოცხლის,
დედა მარჯვენა ჩვენი მკლავია,
დედა ძალაა დაუშრეტელი,
დედა ფოლადის მტკიცე ფარია.

**Ბ. ᲨᲐᲜᲐᲫᲔ,**
ქ. სამარყანდი.

მინდა ჩემი ხმა შემოგიერთო,
დღეს სიხარული გაგიზიარო,
პატარა ლექსი შემოგთავაზო,
საბჭოთა ქვეყნის მამაცო ქალო.
გილოცავ დღეთა თავისუფლებას,
იცოცხლე, ტკბილო, პირბადრო
მთვარევ,
ბარაქიანი შენი მარჯვენით
მრავალი ნერგი დარგე, ახარე.

**ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲛᲐᲛᲣᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
სოფელი მარტყოფი.

გუშინ პატარა ლიანაც მოულოცეს 8 მარტი. კალენდრის ამ ფურცელს კი სამახსოვროდ ინახავს იგი.
ფოტო ხ. მამახახლისისა.

## • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ •

# ᲛᲝᲢᲝᲙᲠᲝᲡᲘ ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ

**ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ** მიდამოებმა თავის რელიეფით მოტოკრბოლთა აღიარება ჰპოვა. ამიტომ არის, რომ აქ ორი წელია ზედიზედ სტარტი ეძლევა ჩვენი ქვეყნის პირველობას მოტოკროსში.

ჩემპიონატი 250 და 500 კუბური სანტიმეტრის მანქანებით ოთხ ეტაპად ეწყობა. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოტოკრბოლებთან ერთად თბილისს ეწვივნენ ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები, ისინი ასპარეზობაში კონკურსგარეშე გამოდიან.

გასული კვირადღის შეჯიბრებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. სპორტსმენებს მიესალმა საქართველოს არმიის, ავიაციის და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა. ჩემპიონატის ალამი აღმართეს საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონებმა ვ. არბეკოვმა და ს. კადუშკინმა.

აგუგუნდა 250 კუბური სანტიმეტრის მანქანები. სტარტზე გამოდის ორმოცზე მეტი სპორტსმენი. უეცრადღა მიიპყრო მანქანამ, რომელსაც ჰქონდა ნომერი 1 და მართავდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვ. არბეკოვი. მან სტარტიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და ფინიშზეც პირველი მივიდა.

500 კუბური სანტიმეტრის მანქანებისათვის ტრასა ოვალი იყო (12 წრე, წრე 2 კილომეტრი). მართალია, აქ კარგი სტარტი აიღო სსრ კავშირის ჩემპიონმა ს. კადუშკინმა და ლიდერობასაც დიდხანს ინარჩუნებდა, მაგრამ შემდეგ ვერ გაუძლო **ა. კლიავინშთან** ბრძოლას და პირველობა მას დაუთმო.

პირველ ეტაპზე გამარჯვებულების გამოსავლინებლად საჭირო იყო მეორე გარბენი. აქაც წარმატება **ვ. არბეკოვსა** და **ა. კლიავინშს** ხვდათ.

ამრიგად, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე 250 კუბური სანტიმეტრის მანქანებით პირველი სამი ადგილი დაიკავეს — **ვ. არბეკოვმა** (მოსკოვი), **გ. დაუუბმა** (რიგა) და **ი. გრიგორიევმა** (კიევი). 500 კუბური სანტიმეტრის მანქანებით გამიმარჯვეს **ა. კლიავინშმა** (რიგა), **ს. კადუშკინმა** (მოსკოვი) და **ს. საარმა** (ტალინი)

მეორე ეტაპი გაიმართება რუსთავში 14 მარტს.

* * *

**სურათებზე: ზემოთ — 250 კუბური სანტიმეტრის მანქანებით კროსში გამარჯვებული ვ. არბეკოვი; ქვემოთ — კროსის მონაწილენი დისტანციაზე.**

ფოტო
ვლ. გინზბურგისა.



## ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

**შაიბიან ჰოკეისტთა ტამპერეს მსოფლიო ჩემპიონატზე ბრძოლა გამწვავდა. გასულ კვირადღეს წაგაწყდით სიურპრიზს — შვეიცის გუნდმა ფინელ ჰოკეისტებთან მატჩი ფრედ (2:2) დაამთავრა.**

**სსრ კავშირის ნაკრებმა მესამე მატჩში დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი 8:0 და 6 ქულით (შაიბების შეფარდება 30:6) ლიდერია.**

**ორი დღის შესვენების შემდეგ საბჭოთა ჰოკეისტები 10 მარტს შეხვდებიან შვეიცის ნაკრებს.**

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

## ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1965 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗ ᲘᲬᲘᲠᲐᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲨᲘ:**

მათემატიკური ანალიზი, ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები, ალგებრა და რიცხვთა თეორია, გეომეტრია და ტოპოლოგია, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული კიბერნეტიკა, თეორიული მექანიკა, ასტრონომია და ცაცური მექანიკა, თეორიული ფიზიკა, რადიოფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, ატომბირთვის ფიზიკა, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, თურქეთის ისტორია, ლიტერატურის თეორია, სსრ კავშირის ხალხთა ენები, რუსული ლიტერატურა, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა.

**ასპირანტურაში მიღება წარმოებისაგან მოწყვეტლივ იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:**

მათემატიკური ანალიზი, გეომეტრია და ტოპოლოგია, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული კიბერნეტიკა, ასტრონომია და ცაცური მექანიკა, თეორიული ფიზიკა, რადიოფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, ატომბირთვის ფიზიკა, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, ფარმაკოლოგია, ბიოქიმია, ბიოლოგიური ფიზიკა, ბიოლოგიური ორგანული ქიმია, ბიოლოგიური ანალიზური ქიმია, ბიოლოგიური ფიზიკური ქიმია, ბიოლოგიური ფიზიკა